ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 2 (29)

იანვარი. 1991

# საქართველოს სახალხო ფრონტის სადღეისო ამოცანები

## ნოდარ ნათაძე

**საქართველოს** ფართო საზოგადოებრიობაც და პოლიტიკაში ჩაბმული წრეებიც დღეს ხშირად სვამენ კითხვას: რაკი საქართველოში ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული და ეროვნული ლოზუნგებით არჩეული პარლამენტი (უზენაესი საბჭო) და ამავე პოზიციაზე მდგარი მთავრობა არსებობს — რაკი, ამგვარად, განხორციელდა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში სხვა მეთოდებთან ერთად პარლამენტის, როგორც ბრძოლის ყველაზე ძლიერი, ლეგალური იარაღის გამოყენების იდეა, რომელსაც სწორედ სახალხო ფრონტი იცავდა თავისი შექმნის დღიდან — ხომ არ გაუქმდა ამით სახალხო ფრონტის, როგორც ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა მიმართულებათა გამაერთიანებელი და თავმომყრელი მოძრაობის ამოცანა? ან პირიქით: ხომ არ მოვიდა დრო, რომ სახალხო ფრონტი, რომელიც აქამდე თავისთავს „მოძრაობას" უწოდებდა და დღესაც უწოდებს, ამიერიდან პარტიად იქცეს? მე მგონი, ამ კითხვებს უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ.

სახალხო ფრონტს თავისი ამოცანები აქვს, რომელთა გადაწყვეტაშიც მას ვერც ერთი პარტია ან პოლიტიკური ჯგუფი ვერ შეენაცვლება და ჩვენი მხრიდან საქმის ღალატი იქნება, თუ რომელიმე მათგანზე დღეს უარი ვთქვით.

პირველ და ყველაზე სპეციფიკურ ამოცანად საქართველოს სახალხო ფრონტისთვის ისევ და ისევ ჩვენი საზოგადოების პატრიოტულ ძალთა **გაერთიანება** რჩება. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახალხო ფრონტი ცდილობს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები, ან პარტიებიც კი გააერთიანოს.

**ორგანიზაციულად**, ის ზოგადობა, რომელსაც საქართველოს სახალხო ფრონტი ესწრაფოდა ადრე და ესწრაფის დღესაც, არც ორგანიზაციული ერთიანობაა და არც — ღმერთმა დაგვიფაროს — იდეური ერთიანობა, რომელიც თავისუფალი აზრის ჩაკვლას, მის არდაბადებას, ან მის ვერდაბადებას უდრის. ერთიანობა, რომელიც სახალხო ფრონტს აინტერესებდა და აინტერესებს, **ეროვნულ მიზანთა ზოგადობაა**, ანუ იმ ძირითადი და ფუნდამენტური მიზნების მიღწევის სურვილია, რომლებიც ყოველგვარ პარტიულ, მით უმეტეს, პიროვნულ შუღლსა თუ კინკლაობაზე მაღლა დგას. საქმე ის გახლავთ, რომ პარტიული მიზანი არა თუ ხარისხობრივად, არამედ პრინციპულადაც სხვაა, ვიდრე ეროვნული მიზანი. როგორც ასეთი, „პარტია" ხომ ლათინურად „ნაწილს" ნიშნავს. იგი ხალხის, საზოგადოების რაღაც ერთი ნაწილია (დემოკრატიულ საზოგადოებაში — ხალხის რაღაც ნაწილის ინტერესით გამსჭვალული) და, ამგვარად, მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია ძალაუფლებისკენ სწრაფვა სხვა „პარტიების", ანუ ამავე ხალხის სხვა ნაწილების შესაბამისად. პარტიების ტაქტიკაშიც და სტრატეგიაშიც პირველ ან, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვან ამოცანადაა დასახული ხალხის თვალში საკუთარი პარტიის ან პოლიტიკური ჯგუფის პოზიციების განმტკიცება და გამაგრება, სხვანაირად რომ ვთქვათ — გავლენისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლა. ტერმინს „პოლიტიკა" თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ამ ვიწრო აზრით, პარტიული ბრძოლის, ანუ გავლენისათვის ბრძოლის აზრით ხმარობენ. ის, რასაც საქართველოს სახალხო ფრონტი ესწრაფვის და აკეთებს, არაა პარტიული ბრძოლა. მისი ამოცანები პარტიული კი არაა, არამედ **მხოლოდ** ეროვნულ-სახელმწიფოებრივი. მას არ აინტერესებს, **ვისი** ხელით (რომელი პარტიის ან პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლის ხელით) გაკეთდება ესა თუ ის საჭირო საქმე, არამედ აინტერესებს მხოლოდ თვით საქმე. ამასთან, ამ საქმეთა შორის სახალხო ფრონტს აინტერესებს მხოლოდ ყველაზე არსებითი და საქართველოს მომავალი ისტორიის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი (ამ საქმეებს, ბუნებრივია, აქ არ ჩამოვთვლი. ქვემოთ მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ).

საქართველოს სახალხო ფრონტი თავისი არსით **ზეპარტიული** ორგანიზაციაა, ამიტომ საერთო-სახალხო მოძრაობად დარჩება განურჩევლად იმისა, 50 კაცი იქნება მასში გაერთიანებული თუ ხუთასი ათასი. აქედან გამომდინარეობს, ცხადია, ისიც, რომ სახალხო ფრონტი აბსოლუტურად მიუდგომელი რჩება როგორც პარტიათა ურთიერთდაპირისპირებაში (რაც სავსებით ნორმალურია ყველა თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში), ისე პიროვნებათა ურთიერთდაპირისპირებასა და კინკლაობაში (რაც, სამწუხაროდ, თავს იჩენს იმ საზოგადოებაში, რომელიც პოლიტიკურად ეს-ესაა ფეხს იდგამს). ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფაქტობრივიც და ნომინალური ხელისუფლებაც საქართველოში მხოლოდ კომპარტიის ხელში იყო, საქართველოს სახალხო ფრონტი შეძლებისდაგვარად ცდილობდა იმ პროგრამების გატარებას, რომლებსაც საქართველოს მომავალი უნდა დაეფუძნოს. ეს პროგრამები ძალაშია და შესასრულებელია დღესაც. ეს ძალაუფლების გადანაწილების პროგრამები კი არაა, არამედ **ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის** პროგრამებია და, ამდენად, სახალხო ფრონტის ამოცანა დღეს იგივე რჩება, რაც ადრე იყო.

რომელია ეს პროგრამები? პირველ ყოვლისა დემოგრაფიულ-ეკონომიკური პროგრამა, რამდენადაც, როგორც უკვე მრავალჯერ გვითქვამს, სსფ გეოპოლიტიკურ პრობლემებს ყველაზე წინ აყენებს. საქართველოს თავდაცვისუნარიანობის საფუძვლების ჩაყრის პროგრამა და სხვა.

მეორე ამოცანა ჩვენი სახალხო ფრონტისა ის გახლავთ, რომ ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ და უნდა ვმონაწილეობდეთ **კანონმდებლობაში.** უნდა ვმონაწილეობდეთ არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ გამოვიყენოთ ჩვენი, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, კანონმდებლობითი ინიციატივის უფლება და უზენაეს საბჭოში კანონპროექტები შევიტანოთ (ასეთი უფლება ყოველ დეპუტატსაც აქვს ინდივიდუალურად), არამედ, პირველ ყოვლისა, იმ მხრივ, რომ ჩვენი ორგანიზაციის სიფართოვისა, მრავალმხრივობისა და გამორჩეული კეთილსინდისიერების მაქსიმალური გამოყენებით ვიპოვოთ და გავიაზროთ ცხოვრების ის განსაკუთრებით მწვავე მხარეები, რომლებსაც დღეს პირველ რიგში სჭირდება რეგულირება კანონმდებლობითი წესით. დიდი შეცდომაა იმის ფიქრი, რომ კანონი ცხოვრებას ცვლის, მით უმეტეს — ძირფესვიანად ცვლის. კანონი მხოლოდ აფიქსირებს და, გარკვეული ზომით, ამტკიცებს და ამყარებს იმას, რაც თვით ცხოვრებამ მოიტანა. ასე, მაგალითად, ნაპოლეონისეული სამოქალაქო კოდექსი ვერ შემოატრიალებდა ვერც საფრანგეთის, ვერც მის მიერ დაპყრობილი ევროპის რეალურ ცხოვრებას ე. წ. სამოქალაქო საზოგადოების, ანუ ცივილიზებული საზოგადოების შექმნისაკენ, ასეთი საზოგადოების მთელი ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურა თავისით რომ არ ყოფილიყო უკვე მომწიფებული და დღის წესრიგში დამდგარი. საბჭოთა ხელისუფლების მეორე დეკრეტი (მიწა — გლეხს), ვერ განხორციელდებოდა რუსეთში 1917 წელს, სახელმწიფოს კარზე მომდგარი რომ არ ყოფილიყო მიწის წყურვილით შეპყრობილი გლეხობა. დღეს საქართველოს ერთის მხრივ სოციალური, მეორე მხრივ კი ეროვნული პრობლემების კომპლექსი კაცობრიობის ისტორიისათვის ამოცანებისა და პრობლემების სრულებით არატიპიურ ხლართს წარმოადგენს. პრობლემათა ამ ხლართში გარკვევა და სწორი გზის გაგნება ადვილი არ არის. ამას სჭირდება ფართო ინფორმაცია რეალური ცხოვრების შესახებ, ალალი გული (ანუ ყოველგვარი პარტიული ინტერესებისაგან თავისუფალი გული) და ფხიზელი გონება — აგრეთვე. რაღა თქმა უნდა, სათანადო პროფესიული ცოდნა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საქართველოს სახალხო ფრონტს ამ ფუნქციაში დღეს ვერავინ შეცვლის. უფრო ზუსტად და ტაქტიანად რომ ვთქვათ — ვერავინ შეცვლის საქართველოს სახალხო ფრონტს, როგორც ერთ-ერთ მოპაექრეს იმ ცხოველ დისკუსიაში, რომელიც ამგვარ თემებზე უნდა წარმოებდეს. მოვიყვან მაგალითს: საქართველოს უზენაესმა საბჭომ განხილვის საგნად გაიხადა ელემენტარულ შეცდომაზე დამყარებული მუხლი კანონპროექტისა, რომლის (ამ მუხლის) თანახმადაც საბჭოს უფლება აქვს უფლებამოსილება შეუწყვიტოს დეპუტატს ამ უკანასკნელის მიერ „ეთიკის" დარღვევის შემთხვევაში. კი მაგრამ, სადაა კოდიფიცირებული ეს ეთიკა? (ასეთი კოდექსი არ არსებობს). ან რა უფლებით უნდა გააძევოს უზენაესმა საბჭომ დეპუტატი, რომელიც **ამომრჩეველმა** გახადა საბჭოს წევრი? ან რა წესით უნდა მოხდეს მისი ეს გაძევება? უმრავლესობის ხელის აწევით? საქართველოს სახალხო ფრონტის დეპუტატთა აქტივობა რომ არა, ეს მუხლი მიღებული იქნებოდა და განთავისუფლების გზაზე მდგომ ჩვენს ქვეყანას, რომელსაც დემოკრატიულად არჩეული პარლამენტი ჰყავს, დიდი ჩრდილი მიადგებოდა მსოფლიოს თვალშიცა და საკუთარ მოქალაქეთა წინაშეც, როგორც **დიქტატორულს.** ჩვენ გაუთვალისწინებელი დაგვრჩებოდა დემოკრატიის საყოველთაოდ მიღებული ელემენტარული ნორმებიც და **ჩვენი რეალური ვითარებაც**, რომელიც გვეუბნება, რომ ყველაზე ფართო ბრალდება ჩვენი პარლამენტის მიმართ, რაც კი დღეს ჩვენმა მტრებმა შეიძლება გამოიყენონ, ჩვენს მიერ კომუნისტური დიქტატურის მეთოდთა გამოყენების ბრალდება გახლავთ.

შემიძლია მაგალითად მოვიყვანო მიწის კანონმდებლობის პრობლემაც. მაგრამ მას ქვემოთ შევეხები.

მესამეც, საქართველოს სახალხო ფრონტი თავისი ზეპარტიული ხასიათის მიუხედავად (და, ნაწილობრივ, სწორედ ამ ზეპარტიული ხასიათის წყალობითაც) **პოლიტიკური** ძალაა და როგორც ასეთს, მას თავისი მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც დღევანდელი საქართველოს მრავალფეროვან პოლიტიკურ სპექტრში. ამ წერილის დასაწყისში უკვე ვთქვით, რომ სახალხო ფრონტის ყურადღება უფრო იმაზეა მიმართული (და ყოველთვის იყო იმაზე მიმართული), თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოს კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის, და არა იმაზე, თუ ვისი ხელით უნდა გაკეთდეს და დამსახურება ვის უნდა მიეწეროს. ამჯერად, როდესაც პოლიტიკურ სპექტრზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობ, რომ საქართველოს სახალხო ფრონტი თავის აზრსა და პოზიციას გამოთქვამს იმ ვითარებაზეც, რომელსაც ჰქვია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. საქართველოსა და დემოკრატიის ინტერესები მოითხოვს, რომ კონკრეტულ საკითხებზე მრავალი განსხვავებული აზრის არსებობა იყოს შესაძლებელი, როგორ საკანონმდებლო ან მუნიციპალურ ორგანოებში, ისე მათ გარეთ, სხვადასხვა პარტიებსა და პოლიტიკურ ჯგუფებში. ბლოკირება, ურთიერთპოზიცია თუ ურთიერთგამიჯვნა, ამ ჯგუფთა მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი ძალების რეალური მიზნებს უნდა შეესატყვისებოდეს, რაც შეიძლება ზუსტად. ამ სფეროშიც საქართველოს სახალხო ფრონტს თავისი ხმა აქვს და უნდა ჰქონდეს.

**მეოთხეც**, საქართველოს სახალხო ფრონტს აქვს იმის უფლება და შესაძლებლობა, რომ განახორციელოს დღეს ერთ-ერთი ყველაზე საჭირო საქმე — **ეკონომიკური ინიციატივა.** დღემდე იმ საშვილიშვილო საქმეში, რომელიც სტიქიით დაზარალებულთათვის ქვემო ქართლში სახლების შენებაში მდგომარეობს, აგრეთვე, ყველა სხვა სამამულო საქმეში, რომელსაც სახსრები სჭირდება, საქართველოს სახალხო ფრონტი მხოლოდ შემოწირული თანხებით მუშაობდა (ისევე, როგორც ყველა სხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფი და პარტია). ცხადია, ეს ვითარება სამუდამო ვერ იქნება. ჩვენ უკვე ვიწყებთ ეკონომიკურ საქმიანობას (ამჯერად — ჯერ საგამომცემლოს), რომელიც საშუალებას მოგვცემს, ეს საქმე საკუთარი სახსრებით ვაკეთოთ. პრინციპად, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის ის გვექნება და გვაქვს, რომ ყოველგვარ ეკონომიურ საქმიანობას კი არ მოვკიდოთ, ან არ შევუწყოთ ხელი, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც **საზოგადოებისათვის სასარგებლოა.**

**მეხუთეც**, საქართველოს სახალხო ფრონტი ვერ აილებს და არც აილებს ხელს საკუთრივ **სოციალური** პრობლემების (სამართლიანობა, ბინით უზრუნველყოფა და ა. შ.) მოგვარებისათვის ზრუნვაზე, ოღონდ, რა თქმა უნდა, მხოლდ იმ შემთხვევაში, როცა განსაკუთრებით მწვავე ვითარებასთან გვაქვს საქმე.

**მეექვსეც**, საქართველოს სახალხო ფრონტს თავისი სიტყვა ეკუთვნის მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის საქმეში, ჩვენი საქმიანობის ეს მხარე ერთ-ერთი რგოლია ჩვენი ცხოვრების **მართვისა** ჩვენ მიერვე, რაშიც საქართველოს ხელისუფლებას კრემლი უთუოდ საბოტაჟს გაუწევს მის ყველა არსებით ლონისძიებებში.

**მეშვიდე** და უკანასკნელი, არსებითი მხარე ჩვენი საქმიანობისა შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვხატოთ:

ბუნებრივია, ჩვენ უჰაერო სივრცეში არ ვცხოვრობთ და ჩვენი ამოცანების გადაჭრაც უჰაერო სივრცეში ვერ იწარმოებს. ჩვენ ვიმყოფებით რეალურ სამყაროში, რომელსაც დღეს თავისი სპეციფიკური, გუშინდელისაგან და ხვალინდელისაგან განსხვავებული სოციალური და ფსიქოლოგიური „ამინდი" აქვს. ამიტომ ჩვენი ამოცანების სწორი გადაჭრა თუ გვინდა, ამ „ამინდსაც" მისი კუთვნილი ყურადღება უნდა მივაგოთ.

ათეული წლების მანძილზე ჩვენმა საზოგადოებამ იარსება როგორც დაჩოქილმა მასამ, რომელშიც ფეხზე წამოდგომის მცდელობას ავტომატურად ახლდა შუბლში ან კეფაში ტყვიის დახლა. მაგრამ ეს კლასიკური მეტაფორა ვერ გამოხატავს სტალინური ეპოქის (და ნაწილობრივ, აგრეთვე, შემდგომი ეპოქების) არსს მთელი სისრულით. „გამარჯვებული სოციალიზმის" იმპერიის პირობებში, რომ **საშუალო ღირსების ქართველი** კაცი ხელისუფლებას არ უჯანყდებოდა (ერთეული გმირებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ დაჰკლებია), ამის მიზეზი არც მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გაფრთხილება იყო, არც მხოლოდ ოჯახისა (რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში განადგურება ელოდა), არამედ, **საქართველოს გაფრთხილებაც.** ქართველს უნდოდა საქართველო ისე გამოეტარებინა ძნელბედობის საუკუნეში, რომ სასიკვდილოდ არ დაჰრილიყო ფიზიკურად (მაგალითად, დემოგრაფიულად), და ამგვარად, ფეხზე ადგომის მცდელობა (მტრის ციხის ალების მცდელობა, ნ. ლორთქიფანიძის დიდებული სახე რომ ვიხმაროთ) უკეთესი ეპოქისათვის გადადო. ქარიშხლისას ხისტი ხე ტყდება, ბალახი კი წაწვება და არსებობას შეინარჩუნებსო — ასეთი გახლდათ მოაზროვნე ქართველთა ორი-სამი თაობის აზრი. ამ „წაწოლის" პოლიტიკამ დადებითთან ერთად თავისი უარყოფითი შედეგიც გამოიღო. ხალხი **შეეჩვია** წაწოლას და მისი ინერცია იმ დროშიც გადმოჰყვა, როცა საქართველოს თავზე აღარც ხიშტებით გალეტის, აღარც ციმბირში გადასახლების უშუალო საფრთხე აღარ ეკიდა დამოკლეს მახვილად. ეს ინერცია სულ ბოლო დრომდე მოქმედებდა და ახლაც მოქმედებს. უკვე **მოვიდა** დრო ფეხზე წამოდგომისა და სამშობლოს ხსნისათვის ერთადერთი, გადამწყვეტი ომის დაწყებისა? — ასე კითხულობენ მრავალნი და ამ კითხვის პასუხისას, ადამიანური ფსიქიკის გარდაუვალ კანონთა გამო. შემდეგი კითხვის დადებით ან უარყოფით პასუხსაც ანიჭებენ არც თუ მცირე მნიშვნელობას: არის დღეს ჩვენში ის კაცი, ვინც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს სათავეში ჩაუდგება, ვისაც სიბრძნეც შესწევს, გულიც და სიმტკიცეც, რომ ამ ბრძოლის დროშა საჭირო წუთში აღმართოს და იგი ბოლომდე გაიტანოს ცეცხლსა და ქარიშხალში? ბუნებრივია, რომ ამათ გარდა, ვინც თავის პირად პოზიციას ამ ორმაგი კითხვის პასუხზე დამოკიდებულს ხდის, არის ისეთი მასაც, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისაგან მხოლოდ შიში, თავგანწირულობა და სულიერი სიხანტე აკავებს.

(დასასრული მე-2 გვ.).

(დასასრული)

როდესაც საქართველოს სახალხო ფრონტი ყალიბდებოდა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბედიც ბეწვზე ეკიდა და მისი მონაწილეებისაც (თვით საქართველოს ბედი ბეწვზე აღარ ეკიდა იმ მხრივ, რომ, როგორც ვთქვით, ჩვენი ქვეყნის აღარც მასობრივი აყრა, არც მასობრივი გაჟლეტა იმპერიას აღარ შეეძლო, მას მხოლოდ ის შეეძლო და დღესაც შეუძლია, რომ ჩვენივე მოსახლეობის ერთი ნაწილი მოგვისიოს, ეკოლოგიური დივერსიები მოგვიწყოს, ადმინისტრაციულად ან დემოგრაფიულად შემოგვიტიოს და ა. შ.) ურთიერთმომყოლი აქციების სერიაში, რომელიც 1988 წლიდან გაიშალა, არავინ იცოდა, რომელს მოჰყვებოდა სისხლიანი დარბევა (როგორც 9 აპრილს მოხდა ბოლოსდაბოლოს), ისევე, როგორც არავინ იცოდა, ვის რა დავალებას აძლევდა კრემლი ამ აქციებთან დაკავშირებით. ისინი, ვინც საქართველოს სახალხო ფრონტს აყალიბებდნენ. იმედოვნებდნენ, რომ ბალტიისპირელთა წყალობით ლეგალიზებული ამ პოლიტიკური ფორმის გამოყენება საშუალებას მოგვცემდა ისეთი კონკრეტული ეროვნული ამოცანები გადაგვეჭრა (გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, „კულტურკამპიფისეული"...), რომელთაც უამისოდ ვერ გადავჭრიდით. ამ ამოცანებში შედიოდა, რაღა თქმა უნდა, საარჩევნო ბრძოლაც საქართველოს უზენაესი ოფიციალური ორგანოსათვის, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა.

1988-89 წლებში სახიფათო მანიფესტაციებში მონაწილეობის მსურველი მეტი იყო, ვიდრე პასუხისმგებლობის აღების მსურველი. პატრიოტული გამოფხიზლება თითქმის საყოველთაო იყო, ხოლო ბრძოლის იმ მეთოდებით შემოფარგვლის სურვილი, რომლებიც მიტინგთა დიდ უმრავლესობაზე იხსენებოდა ხოლმე, უაღრესად არასაყოველთაო. სადაც კი თვალს მიაპყრობდით კომუნისტური მმართველობისაგან შექმნილ ცხოვრების და ადმინისტრაციების წესს, ყველგან შემზარავი უსამართლობა, სისტემადქცეული უაზრობა და მორალური გახრწნილობა ჩანდა, რომელიც გამოსწორებას თუ ვერა, შებრძოლებას მაინც მოითხოვდა. „სახალხო ფრონტის", როგორც ორგანიზაციული ფორმის სახე ბალტიისპირა ქვეყნების მაგალითით იყო განსაზღვრული და ხალხმა იცოდა, რომ ეს არის ლეგალური მოძრაობა მოქმედების ძალიან ფართო სპექტრით — იმპერიული უღლის გადაგდებით დაწყებული და ყოფით უსამართლობასთან ბრძოლით გათავებული. ამიტომ საქართველოს სახალხო ფრონტს ადამიანთა ძალიან ფართო მასა მოუვიდა — იმათგან დაწყებული, ვინც ფრონტის პოლიტიკაში საქართველოს განთავისუფლების ყველაზე სანდო და გონივრული გზა დაინახა, და იმათით დამთავრებული, ვისაც თავ-თავის უბანში ერთი-ორი კეთილი საქმის გაკეთება უნდოდა.

ბუნებრივია, რომ კონკრეტულ უფლებამოსილებას მოკლებული სახალხო ფრონტი კონკრეტულ საქმეთა ამ ზღვარს ვერ გასწვდებოდა და ვერც გასწვდა. ამავე დროს 9 აპრილის შემდეგ მიტინგები შედარებით უხიფათო გახდა და არაპოლიტიზირებულმა მასამ, რომლისთვისაც ეფექტური ლოზუნგები ყოველთვის უფრო მიმზიდველია, ვიდრე რეალური პოლიტიკა, სხვა პარტიებისკენ გადაინაცვლა. ფრონტთან ისინი დარჩნენ, ვისაც მისი პოლიტიკა იზიდავდა და არა მისი ყოველდღიური ყოფითი მოღვაწეობა — პოლიტიკა, რომელიც ამბობდა, რომ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში **ყველა** გზა უნდა გამოვიყენოთ პარლამენტური გზის ჩათვლით. რა თქმა უნდა, იმ უკრიტიკო მასის თვალში სახალხო ფრონტის დეპოპულარიზაციას ხელი შეუწყო ფრონტის ძალების იმ გააფთრებულმა კამპანიამაც, რომელიც გასული წლის 9 მარტის შემდეგ დაიწყო (როცა სახალხო ფრონტის ინიციატივით უზენაესმა საბჭომ საქართველო ანექსირებულ ქვეყნად ცნო) და რომელშიც დღეს ასპარეზზე მყოფი თითქის ყველა პარტიები მონაწილეობდნენ — ისინიც, ვინც არჩევნების ყოვლად უგუნური ბოიკოტი განაგრძო, და ისინიც, ვინც არჩევნებში ჩაება და გამარჯვება მოიპოვა.

დღეს საქართველოს საზოგადოების ძირითადი მასა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უარი უთხრა კომპარტიას მისი ძალაუფლების აღიარებაზე, თითქმის მთლიანად „მრგვალ მაგიდას" უჭერს მხარს. ამ ყველაზე მრავალრიცხოვან და პოპულარულ ბლოკში იგი საერთოდ ეროვნული მოძრაობის განსახიერებასა და სიმბოლოს ხედავს. მაგრამ რა იქნება ხვალ? მოხდება საზოგადოების დღეს უკრიტიკო ნაწილის პოლიტიზაცია, ანუ მისი ცხოველი დაინტერესება ჩვენი საერთო ეროვნული მიზნების მიღწევის **სხვადასხვა** პროგრამებითა და მეთოდებით.

ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს წინაშე რეალური გადასაწყვეტი პრობლემების დადგომისთანავე (რაც უკვე ხდება), ანუ საქართველოს წინაშე საგარეოპოლიტიკური ან შინაპოლიტიკური **არჩევანის** ამოცანის გაჩენისთანავე ამომრჩევლის იმ ერთსულოვნებას, რომლის მოწმენიც დღეს ვართ, აზრთა უფრო დიდი სხვადასხვაობა შეცვლის. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა, თავისთავადად აღებული, დიდი შედეგის მომცემი არაა. არსებითია ის, თუ როდის ჩაებმება ეროვნულ პოლიტიკურ პროცესში ის ბუნებით აქტიური, მორალურად მყარი და ამავე დროს გონიერი ქართველი მოქალაქე (ვუწოდოთ მას „ა" კლასის მოქალაქე), რომელიც დღემდე პოლიტიკასთან მხოლოდ მაყურებლის, გულშემატკივრის, ან, უკეთეს შემთხვევაში, ამომრჩევლის დამოკიდებულებაშია, რადგან იცის, რომ თავისი სამკვდრო-სასიცოცხლო არჩევანი მხოლოდ ერთხელ უნდა მოახდინოს და ჯერ ეს არჩევანი ვერ მოუხდენია. ამ „ა" კლასის მოქალაქეს, როგორც ისტორიის პირველ მამოძრავებელსა და საყრდენს, ჩვენი მიმდინარე პოლიტიკა უკვე დიდი ხანია ელის. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმპერიასთან შერკინების ის პროცესი, რომელშიც დღეს ვართ, ისევე, როგორც ყველა ომი საერთოდ, დიდი გამომაღვიძებელი და მასტიმულირებელი ფაქტორია ერში მთვლემარე ძალებისათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ლოდინი ხანგრძლივი არ იქნება.

ახლა მინდა რამდენიმე სიტყვა ფრონტის საპარლამენტო როლზეც მოგახსენოთ. რა თქმა უნდა, საქართველოს დღევანდელ პარლამენტში სახალხო ფრონტი **ოპოზიცია** არ არის. ოპოზიცია სხვა მიზნის მატარებელი და სხვა ინტერესის მომსახურე ჯგუფს ნიშნავს, და არა მხოლოდ ფხიზელსა და კრიტიკულად მოაზროვნეს. განსხვავებული მიზანი ან ინტერესი სახალხო ფრონტს პარლამენტში, რაღა თქმა უნდა, არა აქვს. მისი კრიტიკული პოზიცია, ხატოვნად რომ ვთქვათ, იმ კაცის პოზიციაა, რომელიც ხედავს, რომ მისი გუნდის ან მისი საგულშემატკივრო გუნდის მოთამაშემ ბურთი გააფუჭა, და თავის მოთამაშეს ამის გამო გმობს. ჩვენს პარლამენტში ბურთის გაფუჭება ან — უფრო რბილად [illegible] საძლებლობის ბოლომდე გამოუყენებლობა არც თუ იშვიათი შემთხვევაა, თუმცა, საბედნიეროდ, ცარიელი კარისათვის ბურთის დაცილება ჯერ არც ერთხელ არ მომხდარა. ვშიშობ კი, რომ შეიძლება მოხდეს, და სწორედ ეს შემთხვევა მინდა გამოვიყენო იმ მაგალითად, რომელიც ზემოთ ვახსენე.

საქმე ეხება **მიწათმფლობელობის** საქმეს. სახალხო ფრონტის საარჩევნო პროგრამით საქართველოს რაიონთა უმრავლესობაში მიწის დარიგება საკარმიდამო ან სამოსახლო ნაკვეთის სრული ნორმის შევსებამდე, დღეს უკვე არსებული წესის შესაბამისად, უნდა დაიწყოს დაუყონებლივ, მიწათსარგებლობის ახალი კანონმდებლობის შემოღებამდე, და ეს საქმე სამთავრობო ან საპარლამენტო კომისიას უნდა დაევალოს. მაგრამ ეს არ ხდება. მიწის ყოველგვარი გაცემა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეჩერებულია ახალი კანონის მიღებამდე, რაც საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღების შემდეგ უნდა მოხდეს. ეს მე საშვილიშვილო მასშტაბის შეცდომად მიმაჩნია. კანონი, როგორც ზემოთ ვთქვით, ვერ შეცვლის არსებითად რეალურ სიტუაციას და ვერ აგვაცილებს იმ ხიფათს, რომელსაც ამ მხრივ დღეს მოველით. თუ მოგება გვინდა, ჩვენ ჯერ რეალური ვითარება უნდა შემოვატრიალოთ ჩვენს სასარგებლოდ და მხოლოდ შემდეგ უნდა ვიზრუნოთ ამ ჩვენთვის სასარგებლო ვითარების დაკანონებაზე. კანონის შემოღებას (რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ზოგადია) წინ უნდა უძღოდეს სასურველი ვითარების შექმნა. თუ ეს დროზე ვერ გავაკეთეთ, დამნაშავენი ვიქნებით ჩვენი მომავალი ისტორიის წინაშე.

# სისხლიანი იანვარი—ვილნიუსი, რიგა

## თემურ ნერგაძე

**ვილნიუსისა** და რიგის ტრაგიკული დღეები სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომმა ვერ დაჩრდილა. არ არის გასაკვირი ისიც, რომ განსაკუთრებით ქართველ ხალხზე იმოქმედა მძიმედ ლატვიასა და ლიტვაში მომხდარმა მკვლელობებმა. როგორც კი შევიტყვეთ ვილნიუსში ჩატარებული „ოპერაციის" შესახებ, იმ წუთიდან გადავწყვიტეთ წავსულიყავით, რათა, ადგილზე გაგვერკვია შექმნილი მდგომარეობა და ჩვენი თანადგომა გამოგვეცხადებია ლიტველი ხალხისათვის. 15 იანვარს, შუადღეს, უკვე ვილნიუსში გახლდით საქართველოს მცირე წარმომადგენლობა: უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ბატონი **მერაბ ურიდია**, უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბატონი **ირაკლი მელაშვილი** და ამ სტრიქონების ავტორი. ლიტვის უზენაესი საბჭოს ბარიკადებით გარშემორტყმული დაგვხვდა, მაგრამ საქართველოს ხსენებისთანავე, შენობის გარეთ მყოფმა დამცველებმა ყველაფერი იღონეს, რათა რაც შეიძლება ჩქარა შეგვეღწია იქ.

უმეტესობა სანადირო თოფით მოსულიყო თავიანთი პარლამენტის დასაცავად, მათი შეიარაღების ხარისხზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ ჩვენთვის გამოყოფილი ორი დამცველი (პროვოკაციის ეშინოდათ და იმიტომ მოგვამაგრეს), მხოლოდ „ნუნჩაკოებით" (ორი ერთმანეთზე გადაბმული ჯოხია) იყო შეიარაღებული. ვილნიუსში, საქართველოს დელეგაციას ტაშით შეხვდა ლიტვის უზენაესი საბჭოს სესია. ამავე სესიაზე მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი სიტყვით გამოვიდა ბატონი მერაბ ურიდია. საერთოდ ამ გაჭირვების დროსაც კი, ჩვენს მიმართ ისეთ გულთბილ დამოკიდებულებას იჩენდნენ, რომ ხანდახან უხერხულ მდგომარეობაშიც ვვარდებოდით და ყოველმხრივ ვცდილობდით ზედმეტად არ შეგვეწუხებინა მასპინძელი. მისვლისთანავე მოგვიჩინეს უზენაესი საბჭოს სამი დეპუტატი, რომელთაც სთხოვეს ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი, რათა გავრკვეულიყავით შექმნილ სიტუაციაში. თავიდანვე ნათელი გახდა ყველა იმ ინფორმაციის სიყალბე და ბრალდებათა უსაფუძვლობა, რასაც ოფიციოზი აწვდიდა საბჭოთა კავშირის მცხოვრებლებს, ისევე, როგორც თბილისში, საოკუპაციო არმიამ იარაღი აღმართა შეუიარაღებელი ხალხის წინააღმდეგ. **მოკლულ იქნა 15, დაიჭრა 850-ზე მეტი ადამიანი. შეშფოთებას იწვევს ხამოცზე მეტი დაკარგული კაცის ბედი.** არის ეჭვი, რომ მოკლულები გადამალეს მას შემდეგ, რაც არმიის ნაწილებმა დაიკავეს ტელეკოშკი. არანაირი მკვეთრი დაპირისპირება რუსულენოვან და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არ ყოფილა. ლიტვაში ინტერფრონტის სიძლიერე მხოლოდ კრემლის მიერაა მოგონილი და მას მოსახლეობის 2-3 პროცენტი თუ უჭერს მხარს. ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ რუსებიცა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, რომლებიც სიცივეში, კოცონის გარშემო შემომსხდარნი, თუ უზენაესი საბჭოს შენობის იატაკზე მოკუნტულნი, ლატვიელებთან ერთად იცავდნენ თავიანთ არჩეულ პარლამენტს. ვერანაირ გამართლებას ვერ მოვუძებნით ე. წ. „ხსნის კომიტეტის" არსებობას, რომლის შემადგენლობაც დღემდე უცნობია. ამ „კომიტეტმა" თავის თავი გამოაცხადა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ და მოუწოდა ლიტვის პარლამენტს დაშლილიყო. მოსკოვს ალბათ ეგონა, რომ მკვლელობებით შეიძლებოდა ლიტვის ხალხისა და პარლამენტის დაშინება. მოხდა კი პირიქით: ხალხი ერთ მუშტად შეიკრა თავისი პარლამენტის გარშემო და, როგორც თვითონ აცხადებენ, არაფერს დაიშურებენ თავიანთი პარლამენტისა და ლიტვის რესპუბლიკის დასაცავად.

ამაღელვებელი იყო დაღუპულთა დაკრძალვის ცერემონიალი. ვილნიუსის სპორტის სასახლეში ესვენა ყვავილებში ჩაფლული ცხრა კუბო, მათ შორის ერთი სრულიად ახალგაზრდა გოგონასი, რომელსაც ტანკმა გადაუარა. (დანარჩენები სხვადასხვა რაიონებიდან იყვნენ და ნათესავებმა წაასვენეს).

დილიდანვე უამრავი ხალხი მოვიდა მათთან გამოსათხოვებლად. საქართველოს დელეგაციამ მიიტანა გვირგვინი წარწერით: „ქართველი ხალხისაგან". სპორტის სასახლიდან, მოკლულები ეკლესიაში გადაასვენეს, სადაც დიდი წირვა გაიმართა. წირვის შემდეგ შედგა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგზე სხვებთან ერთად გამოვიდა ბატონი ირაკლი მელაშვილი. სასაფლაომდე დაღუპულებს რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი მიაცილებდა. მთელი გზის მანძილზე (12 კილომეტრი) ხალხის უწყვეტ ჯაჭვს სანთლები ეჭირა ხელში და თვალცრემლიანი ეთხოვებოდა თავისუფლებისათვის მოკლულებს. ალბათ არ იყო იმ დღეს ვილნიუსში ადამიანი, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღო სამგლოვიარო ცერემონიალში.

იმავე ღამეს ჩვენს დელეგაციას, პოლონეთის, რსფსრ-ს და მოლდავეთის დელეგაციებთან ერთად, შეხვდა ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვიტაუტას ლანდსბერგისი, რომელმაც მადლობა გადაგვიხადა თანადგომისათვის. აღნიშნა, რომ საზღვარგარეთის ზოგიერთ დელეგაციას ვიზა არ მისცა სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. მე გავახსენე მას ცხრა თვის წინათ მის მიერ ნახევრად ხუმრობით ნათქვამი: რომ იმპერიაში მყოფმა ხალხებმა დროა შექმნან თავისი გაერთიანებული ორგანიზაცია. ბატონმა ლანდსბერგისმა ეხლა უკვე სრულიად სერიოზულად განაცხადა, რომ დრო არის იმ რესპუბლიკებმა, რომლებიც არ აპირებენ სსრკ-ში დარჩენას, შექმნან თავიანთი ორგანიზაცია. განსაკუთრებით გულთბილად ისაუბრა ლიტვის პრეზიდენტმა საქართველოს უზენაეს საბჭოსა და იმ წერილზე, რომელიც მან მიიღო ბატონ ზვიად გამსახურდიასაგან ვილნიუსის სისხლიან კვირასთან დაკავშირებით.

17 იანვარს მე გავემგზავრე რიგაში, ხოლო უზენაესი საბჭოს დეპუტატები მოსკოვის გავლით საქართველოში აპირებდნენ ჩამოსვლას. რიგაში ღამის 11 საათზე ჩავედი.

ძველი რიგის ცენტრში, დომის ტაძრის წინ, ხალხის ტევა არ იყო. თბილისის ნოემბრის დღეებიდან ვერ გამოარჩევდით რიგის იანვრის დღეებს, თუმცა შემდეგ განსხვავება ბევრი აღმოვაჩინე: ძნელი იყო არ შეგემჩნია უზარმაზარი სატვირთო ავტომობილები და ტრაქტორები, რომლებსაც ჩაეხერგათ ტაძრის მოედნისა და უზენაესი საბჭოსკენ მიმავალი პატარ-პატარა, ვიწრო ქუჩები. ტაძარი სავსე იყო მლოცველებით, ყოველ ორ საათში ერთხელ ტარდებოდა წირვა-ლოცვა. მთელს ძველ რიგაში დანთებული კოცონების გარშემო დეკემბრის სუსხში თავს იცავდა მომღერალი და მოცეკვავე ხალხი. მოედანზე გამართულ იმპროვიზირებულ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მომღერალთა ჯგუფები. მიუხედავად საერთო აღტყინებისა, დაძაბულობა მაინც საგრძნობი იყო. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღეს.

19 იანვარს, საღამოს, დაძაბულობამ თითქმის იკლო. იმ საღამოს ცნობილ ლატვიელ რეჟისორ იურის პოდნიექსთან ერთად, მის შტაბში, ვილნიუსში გადაღებულ კადრებს ვუყურებდით. ერთ-ერთმა გადამღები ჯგუფის წევრმა მოიტანა ცნობა, რომ ცხრამეტში ან ოცში მოსალოდნელია „ომონ"-ის მხრიდან თავდასხმა. მართლაც, დილის 4 საათზე შეგვატყობინეს „ომონ"-ელთა თავდასხმის შესახებ. ადგილზე მისულებმა გავარკვიეთ, რომ „შავბერეტიანები" მართლაც დასხმიან თავს რიგის გარეუბნებში მდებარე ხიდის დამცველებს, რომელნიც უცემიათ, ავტომატის ჯერიც მიუყოლებიათ და სიკვდილითაც დამუქრებიან. საღამოს ცხრა საათი არ იყო შესრულებული, როცა სასტუმრო „რიგისაკენ" მივდიოდი, რათა დამესვენა და შემდეგ ღამისმთეველებს შევერთებოდი. მოულოდნელად, თავისუფლების ქანდაკების მხარეს სროლის ხმა გაისმა. უკან დაბრუნებულმა დავინახე რამდენიმე მანქანა, რომლებიც სასტუმრო „რიმინეს" (საერთაშორისო კლასის სასტუმრო) ახლომახლო იყვნენ. მე არ ვიცოდი და, თურმე, ამ სასტუმროს წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა ყოფილა. მანქანის ახლომახლო მყოფი „შავბერეტიანები" ავტომატის ცეცხლს უშენდნენ შენობას. თვალით ძნელი გასარკვევი იყო, თუ ვინ უტევდა, ან ვინ იცავდა თავს. — შორიახლო მანქანა იწვოდა. მე და ერთი მანდილოსანი (როგორც შემდეგ გაირკვა შვედი ჟურნალისტი) მანქანას ამოვეფარეთ და იქიდან ვადევნებდით თვალს თუ რა ხდებოდა ჩვენგან 100-150 მეტრში. როდესაც დავინახეთ, რომ „შავბერეტიანელები" არავის ინდობდნენ, შვედი ჟურნალისტი იძულებული გახდა მანქანის ქვეშ შემძვრალიყო და იქიდან გადაეღო თავისი პატარა ვიდეოკამერით. თუმცა, ესეც დიდხანს არ გაგრძელდა. მილიციელების დაჟინებული თხოვნით იძულებული შევიქენით დაგვეტოვებინა „სათვალთვალო პუნქტი". 15 წუთის შემდეგ, იურის პოდნიექსის შტაბში მისვლისას შევიტყვე, მისი ერთი ოპერატორის მოკვლისა და მეორეს მძიმედ დაჭრის ამბავი. რიგის ტელევიზიამ ბრძოლის ადგილზე მისვლისთანავე დაიწყო პირდაპირი რეპორტაჟი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ივარ გუდმანისმა მოუწოდა ყველა მილიციელს გამოცხადებულიყვნენ მინისტრთა საბჭოს შენობასთან (რომელიც ბრძოლის ადგილიდან 500 მეტრში იმყოფებოდა). „შავბერეტიანებმა" თავიდან შესძლეს შენობის პირველი და მეხუთე სართულის დაკავება, ხოლო ერთი საათის ბრძოლის შემდეგ დაიკავეს მთელი. შენობა, რომელიც შუაღამის შემდეგ ნებაყოფლობით დატოვეს და თავიანთ ყაზარმებს მიაშურეს. ბრძოლის შედეგად გარდაიცვალა ხუთი ადამიანი — მათ შორის 4 მილიციელი. რამდენიმე კაცი მძიმედაა დაჭრილი. დაჭრილებს შორის სამოქალაქო პირებიც არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ „ომონმა", აქაც, როგორც ვილნიუსში, გამოიყენა ცენტრისძალშეცვლილი ტყვიები ე. წ. „დუმ-დუმ". ასეთი ტიპის ტყვიების გამოყენება სახელმწიფოთა შორის ბრძოლის დროსაც კი აკრძალულია.

მთავრობის მოწოდებას ხალხისადმი, რომ დარჩენილიყვნენ სახლში, შედეგი არ გამოუღია. ტაძრის წინა მოედანი სავსე იყო ხალხით. მხოლოდ გათენების შემდეგ იკლო დაძაბულობამ. ტრაგედიიდან მეორე დღეს რიგაში შედარებით სიწყნარე სუფევდა.

ეს წერილი მიზნად არ ისახავს ვილნიუსსა და რიგაში მომხდარი ტრაგედიის ღრმა ანალიზს. მაგრამ რამდენიმე დასკვნის გაკეთება მაინც მოგვიწევს. ნათელია, რომ საბჭოთა კავშირმა სრულიად უგულებელყო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. და აშკარად დაიწყო ომი რესპუბლიკათა წინააღმდეგ. ყველაფრიდან ჩანს, კომუნისტური პარტიის დანაშაულებრივი ქმედება. ლიტვაში და ლატვიაში რაქციის დასაყრდენი იყო არა რომელიმე ეთნიკური ჯგუფი, არამედ სკკპ-ს ფილიალები. „ვითომ დემოკრატიზაცია" დამთავრდა და დაიწყო შეუფარავი პარტიული და სამხედრო დიქტატურა. ამ დიქტატურაში გორბაჩოვი ალბათ უფრო მარიონეტის როლს ასრულებს, ვიდრე სრულფასოვანი დიქტატორისა. საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობებმა ყოველგვარი აზრი დაკარგა და უბრალოდ სალაყბოს დაემსგავსა.

უცილოა, მკვლელობებმა ვერც თბილისში, ვერც ვილნიუსსა და რიგაში ხალხი ვერ დააშინა, პირიქით, ხალხი ერთ მუშტად შეიკრა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. ეს ფაქტი ჭკუისსასწავლებელი უნდა იყოს დიქტატორისათვის. თუმცა როდის ჰქონიათ დიქტატორთ ჭკუა?

**„საქართველოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სამაჩაბლოში საქართველოს მილიციისა და პროკურატურის მუშაკების**

**ზურაბ გოგიჩაიშვილის,**
**სევერიან თევზაძის,**
**გუგაზ კევლიშვილის,**
**ტარიელ კოპალეიშვილის,**
**ვლადიმერ ლოზჟანიძის,**
**თენგიზ პიპაშვილის,**
**ადგული (ედუარდ) ძირიას**

**დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს.**

# „დუმილის ბიჭები“

**ე. წ. ცენტრალურმა** ტელევიზიამ, პრესამ, საინფორმაციო სააგენტო საკდესმა კიდევ ერთხელ გააჩაღეს ანტიქართული კამპანია ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ სამართლიან გაუქმებასთან დაკავშირებით. ტენდენციურ, პროოსურ ინფორმაციას, უფრო სწორად, დეზინფორმაციას აქტიურად ავრცელებენ საკავშირო, მსოფლიო მასშტაბით.

როგორც ყოველთვის, ჩვენი სწორი, არგუმენტირებული პასუხები ამჯერადაც ქართულ პრესაში იბეჭდება, რითაც ისევ ერთმანეთს „ვუმტკიცებთ“ საკუთარ სიმართლეს.

და ვჩივით (სამართლიანად), რომ საკავშირო თუ საერთაშორისო არენაზე ვერ გაგვიტანია ჩვენი სიმართლე, რომ არ გვაქვს, ვერ მოგვიპოვებია ისეთი ტრიბუნა, საიდანაც სხვების გასაგონად ვიტყოდით მართალ სიტყვას...

და ეს, სამწუხაროდ, ჭეშმარიტებაა, მაგრამ ისიც ვთქვათ, როგორ ვიყენებდით, როგორ ვიყენებთ არსებულ შესაძლებლობას, არსებულ ტრიბუნას სიმართლის სათქმელად?

მიხვდით, ალბათ, რას ვგულისხმობთ ამ „ტრიბუნაში“. დიახ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობასა და უმაღლესი საბჭოს სესიებზე მოგახსენებთ, უფრო სწორად, ამ თავყრილობებზე საქართველოს დეპუტაციის „მტკიცე“ დუმილზე.

თავის დროზე, პირველი ყრილობის დღეებში, ჩვენს დეპუტატებს „მოფერებით“ „დუმილის ბიჭები“ შეარქვეს. სამწუხაროდ, ამ სახელს დღემდე, ახლახან დამთავრებული მე-4 სესიის ჩათვლით „წარმატებით“ ამართლებდნენ. იშვიათად თუ მივიდოდნენ მიკროფონთან. ერთადერთი, ბატონი ვალერიან ადვაძე აქტიურობდა, რითაც ქართველი ხალხის პატივისცემაც დაიმსახურა.

„ჩვენი“ აფხაზი და ოსი დეპუტატები და „წითელი პოლკოვნიკები“ (ალქსნისი, პეტრუშენკო) კი, გაგიხარია, აფრქვევდნენ და აფრქვევდნენ ანტიქართულ, ცილისმწამებლურ ტირადებს, რასაც ქართველი დეპუტატები, როგორც ყოველთვის, საოცარი სიმშვიდით, ყურწაყრუებით ხვდებოდნენ.

ხანდახან იწერება, შეთანხმება იყო აფაზ და ოს დეპუტატებთან, არცერთი მხარე არ გამოსულიყო ურთიერთბრალდებებით და ამიტომ არ გამოვიდნენ ჩვენი წარმომადგენლებიო. კი მაგრამ, თუ ისინი არღვევდნენ „შეთანხმებას“, მაინცდამაინც ჩვენ რატომ უნდა დაგვეცვა?!

აი, ახლაც, მე-4 სესიაზე ჯერ ნიშანოვმა და პუგომ „გაათვითცნობიერეს“ დეპუტატები ტენდენციური, პროოსური ინფორმაციებით, შემდეგ კი, 14 იანვარს ჩეხოევი გამოქიდა და „ხლმფოთებით“ „უსაყვედურა“ დეპუტატებს, ლიტვის მოვლენებზე რომ ერთი აურზაური ატეხეთ, სამხრეთ ოსეთის ამბებზე რატომ არაფერს ამბობთ, რატომ იმაზე არ იმაღლებთ ხმას, ქართველები რომ ოსებს ხოცავენო!..

ეს ცილისწამებაც პასუხგაუცემელი დარჩა ჩვენი დეპუტატების მხრიდან!

ნუთუ ასე ძნელი იყო, რომ ერთ კაცს მაინც „გაებედა“ მიკროფონთან მისვლა და ბევრი, მართლაც გაუთვითცნობიერებელი დეპუტატისთვის აეხსნა შიდა ქართლში დატრიალებული მოვლენების ჭეშმარიტი არსი. ის, თუ ვინ ეწევა სინამდვილეში ტერორს!.. ნუთუ ასე ძნელი იყო ფაქტობრივ, ციფრობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ეჩვენებინათ ის საოცარი პრივილეგიები, რითაც ოსები სარგებლობენ შიდა ქართლში, ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სიზმრადაც რომ არ მოელანდებათ?!

მაგრამ არა, ჩვენი დეპუტატები ხომ „ჯენტლმენები“ არიან?! „შეთანხმებას“ ხომ არ დაარღვევდნენ?! მიკროფონთან „ჰიდაობას ხომ არ დაიწყებდნენ“?!

მ. გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულების საპასუხოდ ქართველი დეპუტატების მიერ პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ საპროტესტო წერილში ნათქვამია, რომ თუ პრეზიდენტი ბრძანებულებას არ გააუქმებს, ქართველი დეპუტატები ამ შემთხვევაში რწმუნებულებას მოიხსნიან, მონაწილეობას აღარ მიიღებენ სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობა-სესიების მუშაობაში...

არადა, ჩვენი დეპუტატები დიდი ხანია არ მონაწილეობენ აღნიშნული ყრილობა-სესიების მუშაობაში!..

შეიძლება გვიპასუხონ, აზრი არ ჰქონდა „იქ“, „იმათთან“ ლაპარაკს და იმიტომ არ იღებდნენ ხმასო...

შეიძლება ამ „ხმის ამოღებას“ პრაქტიკული შედეგები მართლა არ მოჰყოლოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, სიმართლის „იქით“ თქმის, ტრიბუნის გამოყენების არცერთ შესაძლებლობას არ უნდა ვკარგავდეთ, და მეორეც, საქართველო ფაქტობრივად საომარ ვითარებაში იმყოფება, ერთ-ერთ „ფრონტს“ კი აღნიშნული ყრილობა-სესიები წარმოადგენს! ფრონტზე კი ყველა იმას უნდა აკეთებდეს, რაც შეუძლია, რისთვისაც გააგზავნეს!...

ფელიქს კოჭიაშვილი,
თემურ მირიანაშვილი

# ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს...

**საბჭოთა** კავშირში, ბატონ თამაზ წივწივაძის მოსწრებული თქმით, ამ „ლოზუნგების ქვეყანაში“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და „პოპულარული“ ლოზუნგი იყო „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!“.

თუ როგორ შეესხა ხორცი ამ მოწოდებას, ყველას კარგად მოგვეხსენება. რამდენიმე მილიონს ითვლის მიტოვებულ, უპატრონო ბავშვთა რიცხვი... მძიმე მდგომარეობაა სამშობიარო სახლებსა და ბავშვთა პოლიკლინიკა-საავადმყოფოებში... საკმარისად არაა ბაგა-ბაღები, სკოლები... ქრონიკულად დეფიციტურია ბავშვის ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, საკვები, წამალი...

ყველა ამ „სიკეთით“ უხვად არიან „განებივრებულნი“ ქართველი ბავშვებიც. მათი, განსაკუთრებით უდედმამოდ დარჩენილთა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით ორიოდე წლის წინ შეიქმნა საქართველოს საბავშვო ფონდი (**გამგეობის თავმჯდომარე — ბატონი ხუტა ბერულავა**).

ეს მეტად საჭირო და ჰუმანური ორგანიზაცია, სამწუხაროდ, თავიდანვე როგორღაც ჩრდილში მოექცა, საზოგადოება ნაკლებადაა ინფორმირებული მის საქმიანობაზე...

და აი, ამ ცოტა ხნის წინ ფონდი „ჩრდილიდან გამოვიდა“.

გამოვიდა მეტად თავისებურად. ფონდის მესვეურებს მიუჩნევიათ, რომ ბავშვებზე ზრუნვის საუკეთესო გამოხატულება ის იქნებოდა, თუ დააწესებდნენ აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის 6-6 პრემიას.

დებულების თანახმად, „**საქართველოს საბავშვო ფონდის აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიები ყოველწლიურად მიენიჭებათ სხვადასხვა დარგის მოღვაწეებს, რომელთაც თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით ქართველი ბავშვების მამულიშვილური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში (ფულადი ჯილდო თითოეულისათვის განისაზღვრა 2.000 მანეთის ოდენობით)**“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გასული წლის 12 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატთა სია.

საბავშვო ფონდის ამ „ღონისძიებამ“, არ შეიძლება, გაოცება არ გამოიწვიოს.

არა, ბავშვების „მამულიშვილური სულისკვეთებით აღზრდის“ წინააღმდეგი ვინ არის, მაგრამ, არა გვგონია, რომ ჩვენს „სხვადასხვა დარგის მოღვაწეებს“ ამ კეთილშობილური საქმისათვის **ბავშვების ხარჯზე** მინიჭებული ამგვარი „ჯილდო“ სჭირდებოდეთ.

დიახ, საბავშვო ფონდის დანიშნულება ხომ მშობლიურ ზრუნვას მოკლებული ბავშვებისთვის დახმარება-შემწეობაში მდგომარეობს (უნდა მდგომარეობდეს) და პრემიებისთვის გამოყოფილი ეს არცთუ მცირე თანხა **რომ უშუალოდ ბავშვებს, უშუალოდ მათ საჭიროებებს, ბავშვთა სახლებს მოხმარებოდა, ვითომ უფრო უპრიანი არ იქნებოდა?!** (არ დაგვავიწყდეს, „უახლოეს ხანს განიხილება საკითხი იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების თაობაზე“ ანუ კიდევ 12.000 მანეთი მოაკლდებათ ბავშვებს!).

სხვა, უსიამოვნო კითხვებიც ჩნდება.

ბოლო ხანს ჩვენს პრესაში ბევრი იწერება ლიტერატურულ პრემიებზე, მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენებზე. სამართლიანად აღინიშნება, რომ ეს პრემიები დევალვირებულია, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი სულაც არ ემსახურებიან ლიტერატურის, მწერლობის ინტერესებს...

და ამგვარ სიტუაციაში კიდევ **12 ახალი პრემია!**

საქართველოში უამრავი საქველმოქმედო ფონდი და ორგანიზაცია არსებობს და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ყველა მათგანმა საბავშვო ფონდივით სახელის „შოვნის“ მიზნით **მსგავსი პრემიები რომ დააწესოს, ამგვარად რომ გამოიყენოს აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის მსგავს მწერალთა და ერისკაცთა წმინდა სახელები!..**

ხუტა ბერულავა იმავდროულად მწერალთა კავშირის მდივანი გახლავთ. მართალია, სამწუხაროდ, კარიც აუჭედეს, მწერალთა კავშირის ერთ-ერთ სხდომაზე პრეზიდიუმის წევრებმა ქოქოლაც აყარეს, მაგრამ მდივნად კვლავაც მორჭმით ზის, ალბათ, კარაჩედილ მდივანს ეშინია, როცა ხელმეორედ ჩატარდება მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის არჩევნები, არ გადაირჩიონ. იქნებ ამიტომ გულუხვობს ასე და მწერალთა გულის მოგებას ცდილობს? თუ ეს ასეა, ქართველი მწერლები არ უნდა წამოეგონ ამ ანკესზე. გულუხვობა უპატრონო ბავშვების ხარჯზე არ უნდა იყოს საკადრისი საქმე.

ფ. კოჭიაშვილი,
ქ. ლიკლიკაძე,
ლ. კოდალაშვილი,
მ. მოსულიშვილი

# „მივლინება“ მთაწმინდის პანთეონში

დავალება — მთლად იქ კი ნუ დავრჩები, მაგრამ ჩამოვიტანო ამბავი, ისევ არის იმათი საფლავები პანთეონში?

„მივლინების“ შედეგები:

1. ლირიკული გადახვევა — თოვდა...

2. ამგვარ პიროვნებათა საფლავის ქვებზე თოვლი არ იყო გადაწმენდილი, მაშინ როცა სხვა ქვებზე თოვლიც გადაეწმინდათ და ყვავილებიც მოეტანათ. დათოვლილ საფლავის ქვებს თოვლს ვაცილებდი, წარწერები რომ მენახა და მიუხედავად იმისა, რომ იქ მყოფთა საეჭვო მზერას ვიმსახურებდი, მაინც შევასრულე დავალება.

3. გთავაზობთ სიას:

1) ეკატერინე ჯუღაშვილის საფლავი — ისევ არის.

2) მიხა ცხაკაიას — არის.

3) სილიბისტრო თოდრიას — არის.

4. ეკლესიის მეხანთლემ მითხრა, მაგათ ქვებს ხშირად გადააგდებენ ხოლმე, ჩვენ კი ისევ ვასწორებთ, ხალხი მოდის და სირცხვილიაო.

5. ბანდის მეთაური ფილიპე — არ არის.

6. ფილიპე მახარაძის ნეშტი ნათესავებმა წაიღესო, მიპასუხა მეხანთლემ. დანარჩენი სამი პირის ნათესავები ჯერ არ გამოჩენილან თურმე.

7. უზნეობაა საფლავებიდან მკვდრების ამოყრა, მაგრამ უარესი უზნეობაა, ესენი პანთეონში რომ განისვენებენ დიდ მოღვაწეთა გვერდით.

8. ალბათ, უკვე მიხვდით, რომ „მთლად იქ“ არ დავრჩენილვარ...

9. რაკი დავბრუნდი, ვიცი, მალე შესაძლოა, მეორედ დამავალონ მთაწმინდაზე „მივლინებით“ ასვლა, ამჯერად უკვე წერაქვითა და ბარით ხელში.

თხოვნა:

იქნებ დამასწროთ ამ მიცვალებულთა ნათესავებმა და საჯოჯოხეთო სულები თავად განარიდოთ წმინდა სავანეს.

მიხო მოსულიშვილი,
1991 წლის იანვარი.

# რწმენითა და იმედით

**მსოფლიო** ისტორიას არ ახსოვს ასეთი საშინელი მონსტრი, ასეთი შხამიანი გველეშაპი. სიკვდილის პირას მისული, კონვულსიურ აგონიაში მყოფი საბჭოთა იმპერია სპობს ყოველივეს, რაც კი მის გარშემო ცოცხალი და ხალასი აღმოცენდება.

საბჭოთა იმპერია თავისებური იმპერიაა. იგი იპყრობს ქვეყნებს, მაგრამ ამ დაპყრობით თურმე „ათავისუფლებს“ მათ. როგორც „გაათავისუფლა“, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ფაშიზმისაგან.

არა, ეს მართლაც უნიკალური ფენომენია. მხოლოდ საბჭოთა იმპერიაა კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთი იმპერია, რომელიც აგრესიას, ანექსიას ინტერნაციონალურ მოვალეობად ნათლავს!

და ახლაც მოხდა წარმოუდგენელი, თითქმის ფანტასმაგორიული რამ.

სუვერენულ ქვეყანაში, ლიტვაში, სადაც ხალხმა აირჩია პარლამენტი, შედის საბჭოთა ჯარი, არბევს ტელევიზიას, ხოცავს ხალხს და ამას თურმე აკეთებს „ეროვნული ხსნის კომიტეტის“ სანქციით; ხოლო ეს კომიტეტი სხვა არაფერია, თუ არა ცენტრის მიერ შექმნილი დივერსიული ჯგუფი, შედგენილი ლიტველი კომუნისტებისა და რუსულენოვანი, ლიტვაში გამიზნულად ჩასახლებული ადამიანებისაგან!..

მალე, ალბათ ჩვენთანაც მოიძებნება „მიზეზი“, რათა რუსთაველის პროსპექტზე ტანკები გამოიყვანონ და „ვრემიათი“ აცნობონ მსოფლიოს, თუ როგორ „ათავისუფლებენ“ საქართველოს საბჭოთა ჯარისკაცები.

მაგრამ ადამიანის იმედს, რწმენას, ვერცერთი ტანკი ვერ ჩაკლავს, შეუძლებელია მოსპო. ყველაზე უფრო ძლიერი იარაღი თავდაცვისა — იმედი და რწმენა!..

ჩვენს გულსა და სულში კი ეს იმედი და რწმენა ყოველთვის იქნება! იგი გაუძლებს დიქტატურას, გადაიტანს მას, და, ბოლოს, საბჭოთა ურჩხული დაეცემა მასთან ბრძოლაში, გამოფიტული და განადგურებული.

ძნელია ჩაგრულ გულში იმედისა და რწმენის ნაპერწკლის გაღვივება, მაგრამ თუ დაიბადა, აღარასოდეს მოკვდება. არის ამაში რაღაც მისტიური და ჩვენთვის მიუწვდომელიც კი. ისე, როგორც უფლის სიყვარული, რომელიც, თუ ერთხელ დაიბადა ჩვენს გულში და სულში, აღარასოდეს მოკვდება, რადგან ამ სიყვარულის ჩასახვებლად საჭიროა ახალი „დაბადება“, რომლის შემდეგაც ადამიანს სიკვდილიც ველარ სძლევს. თუ ადამიანი თავიდან „დაიბადა“, თავისუფლების იმედითა და რწმენით, აღარასოდეს დაშორდებიან ისინი ერთმანეთს, ერთად იცოცხლებენ დედამიწაზე ან არადა, ერთად მოკვდებიან.

აკაკი ბოკუჩავა.

# მიტინგი ზუგდიდში

**ზუგდიდში** გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მოაწყო საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონულმა ორგანიზაციამ. მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს პრეზიდენტ გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულება და გამოხატეს თავისი ერთგულება და მხარდაჭერა საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი და მისი გადაწყვეტილებებისადმი. მიტინგის მონაწილეთა სახელით პრეზიდენტს საპროტესტო დეპეშა გაეგზავნა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრის აბესალომ ტულუშისა და სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის ედიშერ არღვლიანის ხელმოწერით.

# წერილი რედაქციას

**საზოგადოებისათვის** ცნობილია, რომ იგადება 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალი, რომელიც ტრაგედიის ადგილზე დაიდგმება. მაგრამ, ვიდრე ქართველი ხალხი მიიღებდეს ამ ძეგლს, ამთავითვე საჭიროა ფიქრი იმაზეც, რომ შეიქმნას 9 აპრილის სახელობის სკვერი, რომელიც ხალხის ძალ-ღონით გაშენდება და, შემდგომშიც ხალხი იზრუნებს მის მოვლა-პატრონობაზე.

ვფიქრობთ, ამგვარი პარკის გაშენება არ არის დაკავშირებული დიდძალ ხარჯებთან და არც სპეციალისტების მოყვანა დაგვჭირდება ცხრა მთას იქიდან.

ვიმედოვნებთ, რომ ამ იდეის განხორციელება იქნება ცოცხალი მემორიალი იმ ადამიანების ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას შეეწირნენ. 9 აპრილის სახელობის პარკი შეიძლება იქცეს თავშეყრის ისეთ ადგილად, როგორიც ცნობილი „მაიდ პარკია“, სადაც ადამიანებს დაუფარავად შეეძლებათ თავისი გულის ნადების გამხელა და ხმამაღალი ფიქრი საქართველოს აწმყოსა და მომავალზე.

ბ. რაზმაძე

## ალეკო მელაძე —

# ტერორისტის ჩანაწერები

(დასასრული)

...შუა ზაფხული იყო, როდესაც მე, ამბერკი და ოლეგი მორდოვეთში ჩაგვიყვანეს... მოგვათავსეს ძველ, გამანაწილებელ ციხეში.

ბანაკის გვერდით მაღალი ღობით შემორაგული ხის დამამუშავებელი კომბინატი იყო, სადაც ტელევიზორებისა და რადიოების ყუთებს ამზადებდნენ. სამუშაოდ მოვხვდი მზა პროდუქციის გარედან დამუშავების საამქროში. მევალებოდა ტელევიზორის ყუთზე გადაკრული ფანერის ისე გაფხეკვა „შკურკით", რომ არავითარი ლაქა არ დამჩნეოდა...

ყველაზე დიდი სატანჯველი, ბანაკში ჩვენთვის, პატიმრებისათვის საბჭოთა კავშირის ჰიმნი და კრემლის კურანტების რეკვა იყო. ღამის პირველ საათზე ზონაში შემოღწეული, თითქმის მთელი დღის ნაშიმშილარი, ისედაც მცირე ულუფას გამგელებული გადასანსლავდი; მერე ლოგინს მიაღწევდი და მუცელგაბერილს როდის-როდის ჩაგეძინებოდა. უცებ რეპროდუქტორიდან ჰიმნის ხმამაღალი ღრიალი და კურანტების გუგუნი ძილს გაგიფრთხობდა. ყოველ დილით თავგასული ზედამხედველები სპეციალურად ჩამოივლიდნენ, ამოწმებდნენ, მუშაობდა თუ არა რეპროდუქტორები, და ხდებოდა თუ არა ჩვენი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა...

ბანაკი სავსე იყო სხვადასხვა ჯურის, სხვადასხვაგვარი ბიოგრაფიის მქონე პატიმრებით. მინდა გავიხსენო ორი, პოლარულად განსხვავებული ბუნების ადამიანი.

ანტონ ნაკაშიძე ქუთაისელი ბიჭი იყო. კარგად ცეკვავდა. ცეკვამ მიიყვანა ის ტყიბულის მაღაროელთა კლუბში მოცეკვავედ და ქორეოგრაფად. აქედან იყო, რომ შოტლანდიის მაღაროელთა დელეგაციამ მიიწვია ის და კიდევ ორი ახალგაზრდა ქალი ედინბურგში გასტროლებზე. ანტონი თავის დედ-მამას არ ემორჩილებოდა და წარმოსადგენია, რა დამოკიდებულება ექნებოდა დელეგაციის რუს დერჟიმორდა ხელმძღვანელთან, რომელმაც მისი ხელში აყვანა მოინდომა. ერთ-ერთი ასეთი კამათის დროს, როდესაც ხელმძღვანელი დამუქრებია, მოიცა, როცა დაბრუნდები, ნახავ რა დაგემართებაო, ანტონში აჩქეფებულა ქუთაისური, თანაც, თავადური სისხლი და თაურის რეკვით იატაკზე გაუშხლართია დელეგაციის ხელმძღვანელი. რაღას დაედგომებოდა იქ, მოკლედ, დარჩა ინგლისში.

ინგლისში მისთვის ბედს გაუღიმია. ბი-ბი-სის სატელევიზიო კომპანიას მოცეკვავედ აუყვანია, საკმაოდ მაღალი ხელფასით, თანაც ქართული ქორეოგრაფიული ჯგუფის შედგენაც კი დაუვალებიათ...

მერე ნელ-ნელა თავისი ქუთაისი და თავისი ამფსონი ბიჭები მოენატრა. და ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ლონდონში აკრედიტებულ საბჭოთა დიპლომატს ნ. ყიასაშვილს მიადგა. იმან კი უთხრა, დაფიქრდიო, მაგრამ რომ არ მოეშვა, მეტი რა ძალა ჰქონდა, აიღო და საბჭოთა საელჩოში უშუამდგომლა. მისი მონატრებული ქუთაისის ნაცვლად მორდოვეთში უკრეს თავი... როდესაც გაიგო, რომ ბანაკში ცოლშვილმა ჩამოაკითხა სანახავად, უნებლიეთ, თვალცრემლიანს წამოსცდა თავის ქალიშვილზე:

— მაგ მამაძაღლის ნატვრამ ჩამომიყვანა! — და მალულად ცრემლები მოიწმინდა.

ჩემს საამქროში მუშაობდა სუკის ყოფილი პოლკოვნიკი სარდიონ ნადარაია. მალე შევამჩნიე, რომ ქართველებს მაინდამაინც არ ეკარებოდა, უფრო ერთ თბილისელ სომეხთან, ასევე სუკის ყოფილ მაიორ ამბარცუმ ამბარცუმოვიჩთან ერჩივნა ყოფნა. ბანაკში ხმები დადიოდა, რომ თავის დროზე ნადარაიას „სამსახურეობრივ მოვალეობას" ბერიასთვის ქალების მიყვანა წარმოადგენდა, და სწორედ ამისათვის იჯდა ახლა ბანაკში...

პატარებს სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცები „გვიცავდნენ". მათ შორის ქართველებიც იყვნენ. მძიმე სამსახურს ვერ ჩაეკლა მათში მაღალადამიანური თვისებები. ჩვენთვის, ქართველი პატიმრებისათვის თავისი მცირე ხელფასით, ან მშობლებისაგან მოწოდებული ფულით ყიდულობდნენ ჩაის, საპარსებს, თუ ვთხოვდით, არაყსაც, და ღამით, თავიანთი მორიგეობის დროს კოშკურიდან, მიუხედავად აკრძალვისა, ჩუმად გვიყრიდნენ. თავისი რბილი ხასიათით, კაცთმოყვარეობით სხვა ერის შვილებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდნენ. მახსოვს ასეთი შემთხვევა: ერთხელ ჩემთან მოვიდა ერთი უკრაინელი, სახელად მირონი, რომელიც ზონაში ცნობილ ფეხბურთელად ითვლებოდა და ამიხსნა რომ მისი ცოლშვილი უნდა ჩამოსულიყო. მან კი არ იცოდა, ისინი მართლა ჩამოვიდნენ თუ არა. კოშკურაზე მისი თანამემამულე მდგარა. მავთულხლართებთან მირონს მისთვის უთხოვია ამბის გაგება. ჯარისკაცს კი თოფი მოუღერებია და გამოუგდია. ეხლა ქართველი ჯარისკაცი ავიდაო კოშკურაზე და უსაქმოდ დგას მის გვერდით, იქნებ საიდუმლოდ უთხრა, უბრალოდ გადაიხედოს, იქ არიან თუ არა ჩემიანებიო. — მითხრა მირონმა. მეც შორიახლოს მივედი და მოვახერხე, ვითომ საიდუმლოდ თქმა. იმანაც უკრაინელ ჯარისკაცს ქუდი ჩამოაფხატა და კი არ გადაიხედა, არამედ ქვევით ჩავიდა და რამდენიმე წუთში მირონს და მე დაზუსტებით მოგვახსენა ყველაფერი.

მირონს თვალებიდან ლამის ცრემლები სცვიოდა: „რატომ უნდა იყოს ჩემი ერისშვილი ასეთიო"...

გავიცანი და დავუახლოვდი ღრმადმორწმუნე კათოლიკეს ფელიქს კრასრვინს.

ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ღმერთზე, რელიგიაზე, უფრო ზუსტად, ფელიქსი საუბრობდა, კითხვებზე მპასუხობდა, მელაპარაკებოდა ისეთ საკითხებზე, საგნებზე, რაზედაც არასოდეს მიფიქრია, რაზედაც თითქმის არავითარი წარმოდგენა არ მქონდა...

და მე დავიწყე ფიქრი ღმერთზე, რაც თანდათან ღრმა რწმენაში გადაიზარდა.

ფელიქსი და ასევე კათოლიკეები, ვალენტინას არჯუნასი და პეტრას პლუმპა ყოველ საღამოს განცალკევდებოდნენ და თავისთვის ლოცულობდნენ. ერთი სული მქონდა მათთან ერთად მელოცა, მაგრამ მათ ამიხსნეს, რომ ეს არ შეიძლებოდა, ვინაიდან მე მოუნათლავი ვიყავი. გადავწყვიტე მოვნათლულიყავი.. მორწმუნეების ზონიდან უნდა შემოსულიყო ლიტველი კათოლიკე მღვდელი [illegible] ზე, რომელსაც უნდა მოენათლე და თუ კათოლიკურ კონფესიაზე [illegible] ნას ვაპირებდი მასვე უნდა მოეცა ჩემთვის პირველი ზიარება.

რატომ ვიცვლიდი სარწმუნოებას? იმ დროს ჩემთვის თითქმის გაუგებარი იყო ის დოგმატური სხვაობა, რაც მართლმადიდებლებსა და კათოლიციზმს შორის არსებობდა. მაგრამ მე მაგონდება საქართველოს ისტორია, ის, თუ რამდენმა თავდადებულმა ქართველმა მიიღო თავისი ნებით კათოლიკობა, რომ საქართველოს დასახმარებლად რეალური ძალა მოეზიდა...

მაგრამ მოულოდნელად ფეხი მოვიტეხე. სამკურნალოდ გამაგზავნეს პატარა ქალაქ სოსნოვკის საავადმყოფოში...

მეშინოდა უნათლავი არ მოვმკვდარიყავი. საავადმყოფოში ორი კათოლიკე მღვდელი აღმოჩნდა. ერთმა კეთილმა სანიტარმა, ვიტასმა მირჩია დასავლეთ უკრაინული ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის ყოფილი მამამთავარი, მიტროპოლიტი სლიპიი მიმეწვია ამ საქმის აღსასრულებლად.

მართლაც, მოვიდა ერთ დღეს; ჯერ რამდენიმე საათს ვისაუბრეთ, მერე აღსარება მათქმევინა, მაზიარა და ბოლოს მომნათლა, როგორც ეს კათოლიკური წესითაა გათვალისწინებული.

მალე იგი რომის პაპის იოანე XXIII-ის დახმარებით გათავისუფლდა პატიმრობიდან, და წავიდა ვატიკანში, სადაც კარდინალად აკურთხეს...

აქ უნდა დავამთავრო ჩემი მოთხრობა, რადგან მალე ჩამოვიდა ის, ვისაც თავისუფლების დროს გულისთქმა ვერ დავუფარე... როცა გაიგო, რომ მე პატიმრობაში ხეიბარიც გავხდი, ჩამოვიდა და გახდა ჩემი მეუღლე...

---

* ა. მელაძის მოგონებები დაიბეჭდა შემოკლებით. სრულად მკითხველი წაიკითხავს წიგნში, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს ავტორი. (რედ.).

---

**ზბიგნევ სტიპულკოვსკი — დაიბადა 1904 წელს. განათლებით — იურისტი. იყო პოლონეთის პარლამენტის დეპუტატი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1944 წელს მონაწილეობდა ვარშავის აჯანყებაში. პოლონური წინააღმდეგობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მიწვეული იყო საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე. დააპატიმრეს, მიუსაჯეს ხანგრძლივი პატიმრობა. 80-იან წლებამდე ლონდონში ცხოვრობდა. სხვა დამატებითი ცნობა არა გვაქვს... თანამშრომლობდა ჟურნალ „კონტინენტში", რომელსაც რედაქტორობს ახლახან საბჭოეთში ვიზიტად მოწვეული ვლადიმერ მაქსიმოვი**

## ზბიგნევ სტიპულკოვსკი —

# მოსკოვის „მიპატიჟება"

(იბეჭდება შემოკლებით)

მთავრდებოდა მეორე მსოფლიო ომი. პოლონეთის იატაკქვეშა მოძრაობის წინაშე დადგა პასუხსაგები ამოცანა: გაძლოლოდა პოლონელ ხალხს გადამწყვეტ ბრძოლაში, რადგან მტრის არმიები, რომლებიც მილიონობით ჯარისკაცს ითვლიდნენ, მათ სამშობლოს განადგურებით ემუქრებოდნენ: გერმანელები უკან იხევდნენ და ყველაფერს სპობდნენ, რუსები კი წინ მოიწევდნენ და იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ნაცისტების ხელს გადაურჩებოდა. ხალხი დაიმშა და გამოიფიტა, არსობის პური ზამთრის სუსხში გარეთ ერეკებოდა. მათ. ასეთ დროს წითელი ჯარისკაცები იქცეოდნენ ისე, ვითარცა დაპყრობილ ქვეყანაში, ძარცვავდნენ და ძალმომრეობდნენ.

პოლონეთის კრაიოვას არმიამ, რომელიც ექვემდებარებოდა ლონდონში მყოფ კანონიერ მთავრობას, ტაქტიკური დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა ჯარის ნაწილებს გერმანელთა წინააღმდეგ, მაგრამ იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა, რაც 1945 წლის თებერვალში გამოქვეყნდა, უკანასკნელი ილუზიები დაამსხვრიეს პოლონეთის არმიის პოლიტიკური დახმარების თაობაზე.

დახმარების ნაცვლად საბჭოთა ხელისუფლებამ მოიმოქმედა მსოფლიოს ისტორიაში ერთი ყველაზე უფრო მზაკვრული დანაშაული. თვალთმაქცური გეგმის ავტორი გახლდათ გენერალი სეროვი, რომელმაც მოგვიანებით შეცვალა ბერია НКВД-ს შეფის პოსტზე. 1945 წლის 6 მარტს პოლკოვნიკმა პიმენოვმა პოლონეთის ლონდონის მთავრობის წარმომადგენელს პოლონეთში, მიმართა წერილით, რომელშიც სთავაზობდა შეხვედრის ორგანიზებას იატაკქვეშეთის ხელმძღვანელობისა გენერალ-პოლკოვნიკ ივანოვთან, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა სარდლობას პოლონეთის ფრონტზე. პიმენოვი სთავაზობდა „ორმხრივი გეგმებისა და ნდობის ატმოსფეროში ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც შეეხებოდა ზოგიერთ მნიშვნელოვან პრობლემას." შეხვედრის დროს გარანტირებული იყო სტუმართა პირადი უსაფრთხოება.

ლონდონში მყოფმა პოლონეთის მთავრობამ გააფრთხილა იატაკქვეშეთის ხელმძღვანელები, რათა გამოეჩინათ უკიდურესი სიფრთხილე და ზედმეტად არ ნდობოდნენ საბჭოელებს. ამავე დროს შეახსენებდა, რომ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მთავრობები დადებითად ეკიდებიან ამ შეხვედრას.

ძირითადად, სწორედ დასავლეთის დაწოლის გამო მიიღეს პოლონეთის ხელმძღვანელებმა საბჭოეთის ეს მიწვევა.

არაოფიციალური წინასწარი მოლაპარაკება მიმდინარეობდა 17-27 მარტს. პოლონეთის წარმომადგენლებს შეხვდა საბჭოთა ოფიცერი და წაიყვანა შტაბში, რომელიც ტყეში მდებარეობდა. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ აუხსნეს, რომ ლიუბლიანას მთავრობა — მოსკოვში შექმნილი მარიონეტული მთავრობა — უძლური იყო, უზრუნველეყო ზურგის უსაფრთხოება და პოლონელ ხალხში არ ჰქონდა სათანადო საყრდენი. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დაკავშირებოდა იატაკქვეშეთის ხელმძღვანელობას და ეთხოვა მისთვის, გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი „გათავისუფლებული" პოლონეთის ტერიტორიაზე წესრიგის დასამყარებლად.

წინასწარი მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმდნენ: ოფიციალური მოლაპარაკების დაწყებამდე იატაკქვეშეთის ხელმძღვანელობა გაემგზავრება ლონდონს, პოლონეთის მთავრობისა და მოკავშირეებისაგან კონსულტაციების მისაღებად. საბჭოთა სარდლობამ თავს იდო თვითმფრინავით ფრონტის ხაზს იქით მათი გადაყვანა. დამშვიდობებისას საბჭოთა ოფიცრებმა, სტუმრები სადილზე მიიწვიეს, რომელიც მათ პატივსაცემად გამართა მარშალმა ჟუკოვმა.

მაგრამ მარშალ ჟუკოვთან სადილის ნაცვლად НКВД-ს ციხეში ამოყვეს თავი. ლიუბიანკაზე, პოლონეთის დემოკრატიული ძალების 16 ხელმძღვანელი, ორასზე მეტი დღის განმავლობაში განიცდიდა „ტვინების გამორეცხვის" საშინელ პროცესს. 1945 წლის ივნისში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მათ ბრალად დასდო წითელი არმიის ზურგში დივერსიული საქმიანობა, რასაც ფართო დახმარებას უწევდა ინგლისი და ამერიკა. ამგვარად, ნაცისტების წინააღმდეგ ხუთი წლის განმავლობაში მებრძოლი ადამიანები დადანაშაულებული იქნენ გერმანიის სასარგებლო საქმიანობაში.

მთელი მსოფლიო პროტესტით შეხვდა საბჭოელთა ამ უსამართლობას. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. იდენმა შეწყვიტა სან-ფრანცისკოში გაეროს შექმნასთან დაკავშირებული მოლაპარაკება, როდესაც მოლოტოვმა, 4 მაისს პირველად აღიარა, რომ პოლონელი „დივერსანტები" დაპატიმრებული არიან...

განაჩენის გამოტანის შემდეგ დასავლეთის საზოგადოებრივმა აზრმა ტონი იცვალა, რადგან სიკვდილი არავისათვის მიუსჯიათ, ხოლო სამი გაამართლეს კიდეც. ყველა ბრალდებულმა — ერთის გამოკლებით* — სამართლის დაწოლით თავი დამნაშავედ სცნო.

გავიდა წლები. მრავალმა საერთაშორისო მოვლენამ, მივიწყებაში ჩაძირა საბჭოთა გამყიდველობის მსხვერპლთა ბედი. 1955 წელს ჩამოყალიბდა პოლონელი ლიდერების დასაცავი კომიტეტი ჩემი თავმჯდომარეობით. პატიმართა დასაცავად ხმა აღიმაღლა კანადის პრემიერმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ლესტერ პირსონმა. 1955 წლის 21 აპრილს აშშ-ის მთავრობამ ნოტა გაუგზავნა საბჭოთა და ვარშავის მთავრობებს... მაგრამ მოსკოვი და ვარშავა სდუმდა...

ერთი წლის შემდგომ, 1956 წლის 8 ივნისსს, შვეციის წითელი ჯვრის საზოგადოებამ მიიღო წერილი მოსკოვის წითელი ჯვრისაგან. იტყობინებოდნენ, რომ გენერალი ლეონიდ ოკულიცკი გულის დამბლით გარდაიცვალა პატიმრობის პერიოდში; დამატებით იმასაც იტყობინებოდნენ, რომ პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე იან-სტანისლავ იანკოვსკიც, პატიმრობის ვადის მოხდის დროს, 1953 წლის 13 მარტს გარდაიცვალა.

პოლონელ პატიმართაგან ოკულიცკი ყველაზე კარგი ფიზიკური მდგომარეობით გამოირჩეოდა. სიკვდილის მიზეზი ალბათ ის გახდა, რომ 1946 წელს სტალინმა გასცა განკარგულება ბანაკებში ათი ათასობით პატიმართა ლიკვიდაციის თაობაზე... რაც შეეხება იანკოვსკის, იგი, თუ წერილს ვერწმუნებით, გარდაიცვალა პატიმრობის ვადის გასვლიდან ორი კვირის შემდეგ.

აგრეთვე, წითელი ჯვრის წერილში ნათქვამი იყო, რომ დანარჩენ პყრობილთა შესახებ ინფორმაცია არაა. ამ „დანარჩენთა" შორის იყო სტანისლავ იასიუკევიჩიც, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 5 წელი. 1955 წელს ბრიტანეთის წითელმა ჯვარმა ხელმეორე შეკითხვა გაუგზავნა მოსკოვს. ორი წლის შემდეგ მიიღეს პასუხი: საბჭოთა კავშირში იასიუკევიჩის კვალი არ ჩანსო. 1956 წლის 31 დეკემბერს ვარშავის რადიოსადგურმა გადასცა ცნობა-ხელური ტყუილი იმის შესახებ, რომ იასიუკევიჩი ვითომდაც პოლონეთში დაბრუნდა 1945 წელს და გარდაიცვალა რამდენიმე წლის შემდგომო. ამგვარად, ჰიტლერული ბანაკების ყოფილი ტუსაღის, პოლონეთის იატაკქვეშეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბედი, როგორც ჩანს, სამუდამოდ დარჩა მოსკოვის საიდუმლოდ.

სამშობლოში დაბრუნებულთა ბედიც არანაკლებ ტრაგიკული იყო. ანტონი პაიდაკის მხოლოდ 1955 წლის აგვისტოში (ათწლინახევრის შემდეგ) დართეს ნება პოლონეთში დაბრუნებისა. ვიდრე პაიდაკი საბჭოთა ბანაკებში იჯდა, პოლონურმა НКВД-მ — УБ-მ 1947 წლის თებერვალში მისი ცოლი დააპატიმრა. 1948 წელს დასავლეთში ცნობილი გახდა, რომ იგი კრაკოვის ციხის მესამე სართულიდან გადმოხტა და სასიკვდილოდ დაშავდა.

კაზიმეჟ კობილიანსკი, ნაციონალური პარტიის წარმომადგენელი, მოსკოვის სასამართლომ გაამართლა. დაბრუნებისთანავე იგი დააპატიმრეს... გათავისუფლდა მხოლოდ 1956 წელს, „დათბობის" პერიოდში. სტანისლავ მეჟვას მიუსაჯეს 10 წელი. გლეხობის მეორე წარმომადგენელი — კაზიმეჟ ბაგინსკი — დააპატიმრეს პოლონეთში და მიუსაჯეს 8 წელი. იუზეფ შტემლერი, ჰიტლერელთა ტუსაღი, მოსკოვში გაამართლეს, პოლონეთში დაბრუნების შემდგომ მსახურობდა ამერიკელ პოლონელთა წარმომადგენლად წითელ ჯვარში, УБ-ის მიერ დაპატიმრებულ იქნა. გაათავისუფლეს მხოლოდ 1956 წელს. კაზიმეჟ პუზიაკი, სოციალისტური პარტიის ლიდერი, რუსულ ციხეს პირველად 1911 წელს გაეცნო: მისჯილი 8 წლიდან 6 წელი გაატარა შლისელბურგის ციხესიმაგრეში. 1945 წელს მოსკოვში მიუსაჯეს წელიწადნახევარი. პოლონეთში დააპატიმრეს 1947 წელს 10 წლით, გარდაიცვალა ციხეში 1950 წელს.

დანარჩენნი — გატაცებულ პოლონელ მოღვაწეთაგან — გარდაიცვალნენ სამშობლოში დაბრუნებისთანავე. გარდაიცვალნენ იქამდე, ვიდრე „სახალხო პოლონეთის" უშიშროების ორგანოები მოასწრებდნენ მათ დაპატიმრებას...

პოლონელმა პოეტმა ციპრიან ნორვიდმა თქვა ერთგან: „წარსული — ის აწმყოა, გარნა ოდნავ შორეთი". წინააღმდეგობის 16 პოლონელი ხელმძღვანელის ბედი გვაახლოებს იმასთან, რაიც შესაძლოა შორეულ წარსულად გვესახებოდეს, მაგრამ მით ხელგვეწიფება დღევანდელობისა და, იქნებ, ბურუსით მოსილი მომავლის შეცნობაც.

წერილი თარგმნა და საპუბლიკაციოდ მოამზადა
ოლეგ ბ[illegible]ლიაძე

---

* დამნაშავედ თავი არ აღიარა სტატიის ავტორმა ზბიგნევ სტიპულკოვსკიმ — მთარგმ. შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ჩვენს საქმეებში ნუ ერევიან!“

## ინტერვიუ სოლომონ ხუციშვილთან

**ბ-ნო სოლომონ, თქვენ მრავალჭირგამოვლილი და მრავლისმომსწრე ადამიანი ბრძანდებით, რა შემორჩა თქვენს ხსოვნაში 1918-21 წლებიდან?**

— 1918 წელს მე 10 წლის ბავშვი ვიყავი, მაგრამ ცხადად მახსოვს იმ წლების ზოგიერთი ამბავი. ჯერ ერთი, მე მახსოვს პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი, მახსოვს ომის გაჭირვება, ტირილი და უბედურება იმ ხალხისა, ვინც თავის შვილებს აცილებდა ომში. ჩვენ გორში ვცხოვრობდით, მაგრამ ბევრი ნათესავი გვყავდა სოფელში და მახსოვს მათ „ქენჭის საყრელად“ რომ ჩამოიყვანეს შვილები, მთლად ყმაწვილკაცები. „ქენჭის ამოღებას“ ეძახდნენ მაშინ სამხედრო მობილიზაციას.

კარგად მახსოვს რევოლუცია იმით, რომ მართალია ბავშვი ვიყავი, მაგრამ ხშირად დავყავდი ჩემიანებს მიტინგებზე, რომლებიც მაშინ თითქმის ყველგან იმართებოდა.

მერე შესანიშნავად მახსოვს 26 მაისის გამოცხადება. ეს იყო დიდი სიხარული! საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა „დე ფაქტოდ“ და „დე იურედ“. სწორედ ამ დღიდან დამამახსოვრდა ეს სიტყვები — „დე იურე“, „დე ფაქტო“.

მახსოვს, რასაკვირველია, ბოლშევიკების შემოსვლა საქართველოში 1921 წელს და ის ომები, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობდა. მაგალითად, სომხეთთან ომი 1920 წელს. მახსოვს ოსების აჯანყება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ცხინვალი რომ იწვოდა, იმ ცეცხლის ალი კარგად მოჩანდა გორის ციხიდან.

**რას იტყვით 1924 წლის აჯანყებაზე?**

— 1924 წლის იმ ზაფხულს მე სწორედ კახეთში ვიყავი, რადგან ჩემი ძმა ცხოვრობდა იქ და მოგეხსენებათ, კახეთი იყო ერთ-ერთი ცენტრი აჯანყებისა.

ერთი ამბავი მახსენდება იმ ზაფხულიდან: საქართველოს თეატრის ძველი მოღვაწეები იყვნენ, ძმები ვიქტორ და დავით გამყრელიძეები, დავით გამყრელიძეს ფსევდონიმი ჰქონდა აწყურელი. აწყური სოფელია იყალთოსთან ახლოს და იქ ცხოვრობდა ეს მშვენიერი მსახიობი ჩვენი თეატრისა. ბრმა იყო უკვე საწყალი, როცა მე ის პირველად ვნახე. და, აი, იქაურმა ინტელიგენციამ გადაწყვიტა გემართა ლიტერატურულ-დრამატული საღამო და აღებული თანხით დახმარება აღმოეჩინა დავით აწყურელისათვის, რადგან მას შემოსავლის არანაირი საშუალება არ გააჩნდა და ღარიბად ცხოვრობდა.

ერთი დრამატურგი იყო — ნატალია დუნდაროვა, იმისი პიესა წარმოვადგინეთ ყმაწვილებმა აწყურის თეატრში და შემოსავალი მთლიანად გადავეცით დავით აწყურელს. მაგრამ ეს ბრმა ადამიანიც ვერ გადაურჩა ბოლშევიკურ თემიდას. დავით აწყურელი აზნაური იყო და ეს გახდა მისი უბედურების მიზეზი. აჯანყების დროს დაეცნენ, დაუნგრიეს სახლ-კარი და ქუჩაში გამოყარეს მოხუცი ცოლ-ქმარი. მეუღლეც მსახიობი ჰყავდა, ტასო. აუარებელი სურათები ჰქონდა თავისი დროის ქართველი მსახიობებისა, აუარებელი ალბომები. ყველაფერი გაუნადგურეს და გაუცამტვერეს... და ამ საწყალმა, თვალში სინათლეგამქრალმა კაცმა, ბეწვზე გაასწრო სიკვდილს და ცოლთან ერთად თელავს შეაფარა თავი.

მეორე ძმა კი, ვიქტორ გამყრელიძე, იმდენად ბრწყინვალე მსახიობი იყო, რომ დ. ერისთავის „სამშობლოში“ მისი თამაშით მოხიბლულმა ილია ჭავჭავაძემ წერილიც დაწერა: „ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლში“. არც ეს ძმა დაინდეს, ისიც გააძევეს აწყურიდან, ხოლო შემდეგ შვილიც დაუხვრიტეს — სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა კაცი...

ასე მახსოვს 1924 წელი... დიდი უბედურება ტრიალებდა, აუარებელი ხალხი დაიხოცა ტყუილუბრალოდ...

**რა აზრისა ხართ სტალინზე?**

— სტალინი უცნაური ადამიანი იყო. გენიოსი იყო, მაგრამ ბოროტი გენიოსი. რატომ იყო დაგროვილი ამ ერთ ადამიანში ამდენი ბოროტება, რატომ მოისურვა სტალინმა ამდენი სრულიად უდანაშაულო მსხვერპლი გაეღო და მოესპო ყველაზე საუკეთესო ნაწილი იმდროინდელი საზოგადოებისა — აი, ეს არის ასახსნელი. როგორც ჩანს, ის გაბოროტდა მას შემდეგ, რაც სოციალ-დემოკრატიულ და ბოლშევიკურ ფრაქციაში დაიწყო მოღვაწეობა. ბოლშევიკების ტაქტიკაც და ბრძოლის ხერხიც ეს იყო: ვინც არ არის ბოლშევიკი ის უნდა მოისპოს. და, როცა ძალაუფლება ხელში აიღო სტალინმა, ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეშივე განახორციელა ეს ბოლშევიკური იდეა. მართალია, არაბოლშევიკის მოსპობის იდეამ ბევრი ბოლშევიკიც გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ, სულ ერთია: იმათაც რომ გაემარჯვათ, იგივეს იზამდნენ სხვების მიმართ. ტროცკი იქნებოდა თუ ბუხარინი. თუ კიდევ სხვა ვინმე. ის იქნებოდა თუ ეს, ყველა ერთი განწყობილებისა და შეხედულების მქონე იყო, და კიდევ ვიმეორებ, ისევე მოიქცეოდა, როგორც სტალინი. ასე რომ, ეს პიროვნების ხასიათის შედეგი კი არ არის. არამედ სისტემისა და ვინც ამ სისტემას იზიარებდა, ისევე მოიქცეოდა, როგორც სტალინი.

**როგორ დაახასიათებთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას საქართველოში?**

— დღევანდელი პოლიტიკური ვითარება რთულია. დღეს საქართველო, შეიძლება ითქვას, განსაცდელის წინაშე დგას. ეს განსაცდელი ქართველმა ხალხმა კი არ შექმნა, არამედ საქართველოს შეუქმნა იმ ტოტალიტარულმა ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა სტრუქტურამ, რომელშიც მოქცეული იყო საქართველო დიდი ხნის განმავლობაში. საქართველოს ჯერ სრული დამოუკიდებლობა არა აქვს და ცენტრიც ჯერ კიდევ თავის ნაწილად მიიჩნევს საქართველოს. როდის დარწმუნდება და როდის შეიგნებს კრემლი იმას, რომ საქართველოს არ სურს იყოს შემსრულებელი იმ ფუნქციისა, რომელსაც აქამდე ძალით ასრულებდა, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ეტყობა, რომ კრემლის მეთაურები იძულებული იქნებიან სულ მალე აღიარონ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები.

პოლიტიკური ვითარება საქართველოში ორმხრივია: ერთი — საგარეო და მეორე — საშინაო. არც ერთი და არც მეორე არაფერ სასიკეთოს არ იძლევა ჯერჯერობით. მე შიგნით არსებული პოლიტიკური დაძაბულობა ბევრად უფრო საშიში მეჩვენება, რადგან მასში თავად ქართველები ღებულობენ მონაწილეობას. მიუხედავად იმ ფიცისა და გულზე მჯიღის ცემისა, რომელსაც ახლა მიმართავს სხვადასხვა დაჯგუფება, ვერა და ვერ მოხერხდა, რომ ერთი მტკიცე შეხედულების ირგვლივ დაგროვდეს მთელი ენერგია, რომელიც ახლა დაქუცმაცებულია. წარმოიდგინეთ, ყველანი რომ გავერთიანდეთ, რა ძლიერი და რა საფუძვლიანი იქნება ეს ძალა!

ვიმეორებ, შინაგანი ძალების გაერთიანებაა აუცილებლად საჭირო. ეს ენერგია, რომელიც საქართველოშია, უნდა შეგროვდეს; საჭიროა აკუმულაცია ამ ენერგიისა. და მაშინ უფრო ღონიერი და უფრო მტკიცე იქნება საქართველო და გაცილებით იოლად მოიგერიებს იმ ზვირთებს, რაც კრემლიდან მოექანება ჩვენსკენ. ამის შეგნებაა საჭირო. ამიტომ, მე თავს უფლებას ვაძლევ მივმართო ამ ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ: კინკლაობას თავი ანებონ და, როგორც თავად ამბობენ, შეიკრან ერთ ძლიერ მუშტად, ერთ ძალად. ეს ძალა უფრო დიდიცა და უფრო გამწევიც იქნება. როგორც სულხან-საბამ ბრძანა, ესაა ძალა ერთობისა.

**ბ-ნო სოლომონ, თქვენ სულხან-საბა ახსენეთ და მე უნებურად რუქას ნათქვამი გამახსენდა: „არას კაცს კარგის მოქმედებისათვის კარგი არ უქნია“-ო. სწორედ, რუქას ამ პრინციპით მოქმედებს ზოგიერთი ნაპატივებ-ნალოლიავები მოძმე ჩვენსავე წინააღმდეგ ამ ბოლო დროს...**

— მე მაკვირვებს და მაოცებს აფხაზებისა და ოსების ეს მოძრაობა: ნუთუ ვერ გრძნობენ ისინი, რომ ხახაში უვარდებიან ისეთ არსებას, რომელიც მათ უცებ გადასანსლავს და მოინელებს? მე „ჩვენი ოსებისა“ მიკვირს, ისინი დიდ ურთიერთობაში არიან ჩრდილოელ ოსებთან და დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ გახურებული მათთან. მაგრამ რატომ ვერ გრძნობენ და ვერ ხედავენ იმას, რომ აქაური ოსები უფრო თავისუფლად ცხოვრობენ, ვიდრე იქაურები? იქაურმა ოსებმა იმის ნაცვლად, რომ თავისი დედაქალაქისათვის კანონიერი სახელწოდება ძაუგი (ძაუჯიკაუ) აღედგინათ, მას რუსული „ვლადიკავკაზი“ უწოდეს. ამ სახელის დარქმევა არის გამოხატვა იმათი ნებისა, რომელთაც ამ ქალაქს ვლადიკავკაზი უწოდეს: ვლადიკავკაზი, ვლადივოსტოკი და სხვა „ვლადი“ რუსული მონარქიული ხელისუფლების კუთვნილი ცნება იყო და ახლა ოსებს რატომ დასჭირდათ ეს? რისი დაპყრობა გადაუწყვეტიათ ოსებს? კავკასიისა? მერედა მოახერხებენ? ჩრდილოელმა ოსმა ის ვერ მოახერხა, რომ თავისი ენა და სკოლები შეენარჩუნებინა მომავალი თაობისათვის და მთელი კავკასიის დაპყრობას იჩემებს?

მოკლედ, რაც უნდათ ის დაარქვან თავის ქალაქს, ეს მათი საქმეა. ოღონდ ჩვენს საქმეებში ნუ ერევიან!

მე წეღანაც ვთქვი: გაუღია ხახა დიდ რუსეთს და ისინი პირდაპირ უვარდებიან ამ ხახაში. — ეს უნდათ? ღმერთმა მშვიდობა მისცეთ! და, ვინც რომელ გზას აირჩევს, იმით იაროს, მაგრამ ჩვენს ხარჯზე, საქართველოს ტერიტორიისა და კეთილდღეობის ხარჯზე ნურავინ ნუ ივლის!

**ფრიად საშიში მასშტაბები მიიღო მექრთამეობის ზრდამ. რაღა დასამალია და მან უნივერსიტეტის კედლებშიც შეაღწია... რითი შეიძლება ეშველოს ამ მდგომარეობას?**

— როცა მე მესმის ფაქტები უნივერსიტეტში ასეთი უწესობისა და უდიერობისა, ყოველთვის წარმოვიდგენ ხოლმე ი. ჯავახიშვილს. თქვენ, ახალგაზრდები, ი. ჯავახიშვილს იცნობთ მისი შემოქმედებით. მაგრამ საჭირო იყო მასთან დაახლოება, მისი სალმის მიცემაც კი და იმისი შეგნება, რომ შენ მუშაობ იმ დაწესებულებაში; რომელიც ი. ჯავახიშვილმა გახსნა, რათა ბედნიერად გეგრძნო თავი. ეს ისეთ დიდ მოვალეობას ნიშნავდა, რომ სრულიად წარმოუდგენელი იყო უნივერსიტეტში მომხდარიყო ისეთი უდიერი რამ, რაც ახლა ესოდენ გავრცელდა საზოგადოდ მთელს ქვეყანაში. ქრთამის აღება, მერედა რაში? მისაღებ გამოცდაზე უღირსმა რომ ღირსეული ნიშანი მიიღოს, რომ ამ უღირსმა და უცოდინარმა აჯობოს მცოდნესა და ღირსეულს, და ეს გადაწყვიტოს ფულმა, ხოლო ამ ფულს უნივერსიტეტის მუშაკი იღებდეს? არა, ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია! ასეთ მასწავლებელს მიწა უნდა ეწვოდეს ფეხქვეშ.

საშველი რა შეიძლება იყოს? ერთბაშად არც კი ვიცი. ყველაფერი უნდა შეიცვალოს ძირფესვიანად, ყველაფერი. ახალი ადამიანი უნდა დაიბადოს და აღიზარდოს, და ამ ახალ ადამიანს არავითარ შემთხვევაში აღარ გამოყვება ის მანკიერებანი, რაც იწვევს ამგვარ მახინჯ მოვლენებს. უბედურება ის გახლავთ, რომ ამ საკითხის მოგვარება უცბად არ შეიძლება. რადგან ის პროფესორი, რომელმაც ნიშნის დაწერაში ქრთამი აიღო სტუდენტისაგან, თავისსავე მსგავსს აღზრდის; შემდეგ ის სტუდენტი გახდება პროფესორი (რადგან ეს ჩვენში ჯერჯერობით მეტად იოლია) და იგივეს მოიმოქმედებს...

აი რომ თაობებია ამ საზოგადოების შესაცვლელად საჭირო. თუ საფუძვლიანად შეიცვლება პოლიტიკური სტრუქტურა, ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების დაწმინდასაც. ამიტომ, რაც შეიძლება მალე უნდა ეღირსოს ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობას და მხოლოდ მაშინ შეძლებს პასუხი მოსთხოვოს ყველას, დიდსა თუ პატარა მექრთამეს, დიდსა თუ მცირე მტერს. სხვანაირად შეუძლებელია.

**რას იტყვით დღევანდელ ახალგაზრდებზე, და რას ურჩევდით მათ, როგორც აღმზრდელი და პედაგოგი?**

— საერთოდ, უფროსი თაობა არასოდეს კმაყოფილი არ არის უმცროსი თაობის მოღვაწეობით. — ეს ახალგაზრდები, რა იციან ამ ახალგაზრდებმა, ან ეს რა მოიგონეს ამ ახალგაზრდებმა... მე ასე არ ვმსჯელობ. ახალგაზრდებმა მოიგონეს სწორედ ყველაფერი და მხოლოდ ახალგაზრდობას შეუძლია იტვირთოს ქვეყნის მომავალი, გააკეთოს გასაკეთებელი. სწორედ ახალგაზრდულ ენერგიას შეუძლია მოერიოს დაობებულ და დამძაღებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და შემოიტანოს ახალი წესები ცხოვრებისა.

ეს ახალგაზრდობა არ არის [illegible]ნო. საკმარისია მხოლოდ გულითადად გამოელაპარაკო მათ, გული გადაუხსნა და დარწმუნდები, რომ მათ ბევრი რამ იციან. მაგრამ ყველა არ აკეთებს თავისი ცოდნის აფიშირებას და არც არის ეს საჭირო.

განა ახალგაზრდობა არ იყო ამ ორი წლის განმავლობაში თითქმის ყველა საქმის წამომწყები და მომგვარებელი? ახალგაზრდები არ დაიღუპნენ 9 აპრილს? განა ახალგაზრდები არ დგანან ახლა ქვეყნის სათავეში? რასაკვირველია, ახალგაზრდებმა უნდა უხელმძღვანელონ ქვეყანას და მოუარონ ყველა სატკივარს.

**დასასრულ, გაიხსენეთ ის ადამიანები, რომლებმაც თავისი კაცურკაცობით განსაკუთრებული კვალი დატოვეს თქვენს ცხოვრებაში...**

— რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებმაც თავისი კაცურკაცობით განსაკუთრებული კვალი დატოვეს არა მხოლოდ ჩემში, არამედ საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასეთი ადამიანები საბედნიეროდ ბევრნი იყვნენ.

რა ვიცი, რომელი ერთი გითხრათ. ჩემი მასწავლებელი იყო ერეკლე ტატიშვილი. იცით, ასე უბრალოდ ერეკლე ტატიშვილის ხასიათზე და ერეკლე ტატიშვილის რაობაზე საუბარი არ შეიძლება. ეს იყო პიროვნება — პრინციპული, ღრმად განათლებული, ღრმა აზრების მქონე. დააპატიმრეს როგორც მტერი საზოგადოებისა და „ჩეკას“ საპყრობილეში იჯდა კარგა ხანს. მართალია შემდეგ გამოუშვეს, მაგრამ ისეთი დაავადებული გამოვიდა, რომ დიდხანს ველარ იცოცხლა...

ჩემი მასწავლებელი იყო ვახტანგ კოტეტიშვილი. ორიგინალური პიროვნება, ღრმად განვითარებული და განათლებული მეცნიერი და მკვლევარი, ბევრი საქმის გამკეთებელი კაცი. ძლიერ ახლოს ვიყავი ბ-ნ ვახტანგთან. ვმონაწილეობდი მის ფოლკლორულ ექსპედიციებში, მისი ოჯახის ჭირ-ვარამიც კარგად იყო ჩემთვის ცნობილი... ისიც დააპატიმრეს 1937 წელს, როგორც უნივერსიტეტში არსებული „გამანადგურებელი ჯგუფის“ ხელმძღვანელი.. ცხადია, რომ არავითარი ჯგუფი არ ყოფილა.

ასევე ჩემი მასწავლებელი იყო მიხეილ ზანდუკელი, რომლის სკოლასაც კარგა დიდხანს „ზანდუკელის სკოლას“ ეძახდნენ. პატრიოტი, სულით წმინდა ადამიანი... დაიჭირეს და გადაასახლეს... როდესაც დაბრუნდა, თბილისში ცხოვრების უფლებაც არ მისცეს. გადასახლებაში კოქჩეტავში იმყოფებოდა და რუსულ ლიტერატურას ასწავლიდა სკოლაში. თურმე გადასახლების ყავლი რომ გასულა, სკოლაში ტირილი დაუწყიათ, ეხვეწებოდნენ ნუ წახვალო. მაგრამ რატომ დარჩებოდა...

ბევრნი იყვნენ ისინი საბედნიეროდ, ძალიან ბევრნი. აი, მაგალითად, პაოლო იაშვილი. პაოლოს სახელი და ჩემი სახელი ერთადაა მოხსენიებული ერთ წიგნში. ის არის პაოლო იაშვილის თარგმნილი პუშკინი, რომლის გამოცემაში მეც მიმიძღვის უმნიშვნელო წვლილი. საინტერესო იყო მისი ყოველი ნახვა, მასთან ყოველი შეხვედრა. ომახიანი ლაპარაკი იცოდა პაოლომ. სულ მთლად პოეზია იყო!

რა გითხრათ, ბევრი მყავდა ისეთი ადამიანები, რომლებიც მე გამოვიტირე. ყველას ვერ ჩამოვთვლი, ყველას ვერ დავახასიათებ. არადა, თითოეულმა მათგანმა რაღაც დიდი დატოვა ჩემში. აღარც ერთი ჩემი მასწავლებელი აღარ არის ცოცხალი. დრომ წაიყვანა ყველა. დიდება მათ სახელს და დიდება მათ ხსოვნას!

ესაუბრა
კობა ლიკლიკაძე

# გვინდა თუ არა იარაღი?

კარგა ხანია დგას საკითხი მსოფლიოს მრავალი ცივილიზებული სახელმწიფოს მსგავსად, ჩვენშიც, იარაღის ტარების უფლება მიეცეს თუ არა ხალხს.

გავიხსენოთ ლაო ძი: „რაც უფრო მეტია აკრძალვა, მით მეტია იარაღი“. გავიხსენოთ, თუნდაც, საუკუნეთა განმავლობაში როგორი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა კაცობრიობა მეძავებს, მემთვრალეებს, როგორ შეაწუხა იგი ნარკომანიამ და საბოლოოდ ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა მათი საჯაროდ გაცხადება, — დიდ ბოროტებას არჩიეს მცირე.

რაც შეეხება დღევანდელ საქართველოში იარაღის ქონას, მასზე სხვადასხვა აზრია.

— როგორ შეიძლება იარაღის ტარების ნებართვა? ამით ხომ ისარგებლებენ ვიგინდარები, დამნაშავეები? — იტყვის ერთი.

სამწუხაროდ, ვიგინდარებსა და დამნაშავეებს ისედაც აქვთ იარაღი და არც მილიციის ეშინიათ, უბრალო, პატიოსანი ადამიანები კი დაუცველნი არიან, მითუმეტეს, როცა ქაოსური სიტუაციებია, როცა უწესრიგობა სუფევს ახალ ფორმაციათა დამკვიდრების ჟამს.

— რას ამბობ? — იტყვის მეორე — დღეს ისედაც თავგზააბნეული, გამწარებულია ხალხი, როგორ შეიძლება მისთვის იარაღის მიცემა?

გავიხსენოთ საქართველოს ისტორია. როდის არ ყოფილა გამწარებული და აღშფოთებული ქართველობა? როდის არ ყოფილა მისი ბედი ბეწვის ხიდზე? მეტსაც გეტყვით, უფრო მეტად ზნედაცემული და დაჯიჯგნილ-გათიშულიც გვახსოვს.

— ბაზალეთის ომი, სტამბოლის ბაზარში ძმების გაყიდვა, და ასე შემდეგ. განა ოდესმე იარაღი ყოფილა ამის მიზეზი? ერთი ცხადია, — უიარაღოდ ჩვენ გადავშენდებოდით!

იარაღი, თავისთავად, არაა ბოროტება, რადგან საზრდოს მოსაპოვებ-

(გაგრძელება მე-7 გვ.)

# უშანგ სახლთხუციშვილი

# გიდი

**გიდი** ფრანგული სიტყვაა და დიდი ხანი არაა, რაც ქართულ მეტყველებაში მოიკიდა ფეხი. ქართული ენციკლოპედიის მესამე ტომში ვკითხულობთ: „გიდ-ი (ფრანგ. guide): 1. ტურისტების, ექსკურსანტების გამყოლი, რ-ის მოვალეობაა, აჩვენოს და განუმარტოს მათ ქალაქის თუ მხარის ღირსშესანიშნაობები. 2. ცნობარი, გზამკვლევი (ღირსშესანიშნაობების, გამოფენების, მუზეუმების), ზოგჯერ — ბიბლიოგრაფიული საძიებელი".

როგორც ვხედავთ, გიდი ტურისტებისა და ექსკურსანტების მარტო გამყოლ-მეგზური კი არ არის, არამედ დიდი და საპატიო ფუნქციაც აკისრია. მისი **„მოვალეობაა აჩვენოს და განუმარტოს მათ (ექსკურსანტ-ტურისტებს — უ. ს.) ქალაქის თუ მხარის ღირსშესანიშნაობები".**

ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა. მას ყველაფერი აინტერესებს, ყველაფრის ნახვა სურს, ყველაფრის წაკითხვა უნდა და, თუ დრო და საშუალება გამონახა, მიდის უცხო მხარეთა დასათვალიერებლად, კულტურის გასაცნობად. თუ იმ ქვეყანაში გზამკვლევ-ცნობარები არსებობს, შეიძენს და თან წამოიღებს, ცოდნას გაიღრმავებს, წარმოდგენას გაიფართოვებს. თუ ასეთი ცნობარი ვერ იშოვა, გიდის მონათხრობს უნდა დასჯერდეს... და, აი, მივადექით სათქმელს, ჩვენ, ქართველები, გზამკვლევ-ცნობარების სიუხვითა და მრავალფეროვნებით ვერ დავიტრაბახებთ. ერთი-ორი ბუკლეტ-ცნობარი ამა თუ იმ ისტორიულ ძეგლზე, ანდა თბილისისა თუ სხვა ქალაქების კანტიკუნტად გამოცემული ხედები სტუმრის ცნობისმოყვარეობას ნაწილობრივ თუ დააკმაყოფილებს. ამიტომაც საქართველოში ჩამოსული ტურისტები და ექსკურსანტები გიდების მეშვეობით თუ მიიღებენ ინფორმაციას. დიახ, სწორედ მათ უნდა მოუთხრონ ჩვენს დაბა-ქალაქებზე, ისტორიულ ძეგლებზე, საქართველოს წარსულზე და დღევანდელ ცხოვრებაზე.

საქართველო ტურიზმის ქვეყანაც არისო, ხშირად გაიგონებთ. არათუ გაიგონებთ, ალბათ, ბევრჯერ გინახავთ ჩვენი დედაქალაქი და მისი შემოგარენი, სხვა ადგილებიც, ტურისტებით მოფენილი. **მერედა ვინ ხელმძღვანელობს ამ ტურისტულ ექსკურსიებს, ვინ აცნობს მათ ჩვენს წარსულს, ჩვენი კულტურისა და ისტორიის ძეგლებს, ღირსშესანიშნაობებს? რა ხალხითაა დაკომპლექტებული ამ ექსკურსიამძღოლების, გიდების კოლექტივი? ვინ არიან ისინი, რა იციან საქართველოს, ქართველი ერის, მისი წარსულისა და დღევანდელობის შესახებ? ვინ ამოწმებს მათ ცოდნასა და კომპეტენტურობას?**

მე არც გიდი გახლავართ და არც ექსკურსიამძღოლი, მაგრამ ექსკურსიაზე კი ბევრჯერ ვყოფილვარ. პროფესიით ტოპონიმისტიც ვარ და ფეხით დამივლია ჩვენი მთა-ბარი... სწორედ ტოპონიმიკური ექსპედიციების დროს ხშირად გადავყრივარ ტურისტულ ჯგუფებს ჩვენს ისტორიულ ძეგლებთან, ყური მიმიგდია გიდის საუბრისათვის და ზოგჯერ თუ კმაყოფილი დავრჩენილვარ, ბევრჯერ აღუშფოთებივარ ზოგიერთი ვაიგიდის უვიცობას თუ სიმართლის განგებ დამახინჯებას, ფაქტების გამრუდებას... ასეთი სამწუხარო ფაქტი საკმაოდ ბევრი მაგონდება. გაგიმხელთ ზოგიერთს და დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ.

მცხეთაში ვართ, სვეტიცხოვლის ეზოში, ორსართულიან შენობაში მოწყობილ მუზეუმს ვათვალიერებთ. დარბაზი სავსეა ექსკურსანტებით. გიდი რაღაცას უხსნის. უცებ ყურში ჩამესმის ასეთი სიტყვები: „ძველად ქართველები სომხურ ანბანს იყენებდნენ. ეს წარწერები სწორედ იმ ანბანითაა შესრულებული". ახლოს მივედი. ფრესკა მშვენიერი ქართული ასომთავრულითაა დაქარაგმებული. ველარ მოვითმინე და მკვახედ ვკითხე: „თქვენ თუ შეგიძლიათ მაგ სომხური წარწერის ამოკითხვა?" „შემიძლია, მაგრამ ეს ცუდი ნაწერია და მიჭირს ამოკითხვა". „რატომ ცრუობთ და ატყუებთ ამ ხალხს, ეს ხომ ძველი ქართული ანბანია!.." „ამხანაგებო, — მიუბრუნდა გიდი პერმიდან თუ ტამბოვიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს და ირონიული ღიმილით ეუბნება, — წელანაც გითხარით, ქართველები და სომხები სულ ასე გაუთავებლად დაობენ. ქართველებს სწყინთ, რომ სომხებმა შეუქმნეს ანბანი" ყველამ უნდობლად გადმომხედა „უმადურ" ქართველს. მე კი ამ უსინდისობით გულდაკოდილს ისღა დამრჩენოდა, მუზეუმის ხელმძღვანელობასთან მეჩივლა. ადგილზე მხოლოდ ერთი ქალიშვილი აღმოჩნდა, რომელიც კარებში იჯდა და ბილეთებს იძლეოდა. ვუთხარი: „კი მაგრამ, თქვენ რომ აქ გულარხეინად ზიხართ, იცით, რას უყვებიან სტუმრებს თქვენი გიდები?" „ჩვენები არ არიან, — მომიგო ქალიშვილმა, — ქალაქიდან მოყოლილები არიან. როცა რომელიმე ჯგუფს გიდი ახლავს თან, ჩვენ აღარ გამოვუყოფთ ექსკურსიამძღოლს. ეგ მარტო მაგან კი არა, სხვასაც უთქვამს. შენიშვნაც მიგვიცია, მაგრამ ამაოდ, კვლავაც იმეორებენ", — „დამამშვიდა" მუზეუმის თანამშრომელმა.

თუ ჯგუფს თან მოჰყვება გიდი, როგორც მცხეთაში მითხრეს, მაშინ ადგილობრივი საექსკურსიო ჯგუფი, ეტყობა, თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას. ვაიგიდს კი ასპარეზი ეხსნება და ცრუობს, თავის გემოზე! ვაი, ჩვენი ბრალი!

მეტეხის ტაძართან ასეთი საუბარიც მომისმენია: „ეს ძეგლი იმ მეფისაა, რომელმაც დააარსა ქალაქი თბილისი. მისი სახელია ვახტანგი, გვარი (!) კი — გორგასალი. გორგასალი სპარსული სიტყვაა, მგელლომს ნიშნავს. ვახტანგ მეფეს მუზარადზეც მგელი და ლომი ჰქონდა გამოსახული. ექსკურსანტების შეკითხვაზე: „ქართველ მეფეს რატომ ჰქონდაო სპარსული გვარი?" — გიდის პასუხი არ გაინტერესებთ? — „ქართველი მეფეები წარმოშობით სპარსელები იყვნენ". როგორი პასუხია, პატივცემულო მკითხველო?

მთაწმინდიდან თუ არ გადმოიხედა სტუმარმა, თბილისში ნამყოფად არ ჩაითვლებაო, ასე ამბობენ თავად სტუმრები, ასე გვჯერა ჩვენც და გვინდა აუცილებლად ავიყვანოთ ისინი იქ და იქიდან დავათვალიერებინოთ ჩვენი დედაქალაქი. გვაქვს ასეთი ბრწყინვალე შესაძლებლობა და რატომაც არ უნდა გამოვიყენოთ?!

ბევრი ასეთი სტუმარი შემხვედრია ჩვენი ქვეყნიდან ძალიან შორს და თავიც მოუწონებიათ მოგზაურობით. მაგრამ... მაგრამ, სამწუხაროდ, მას მთაწმინდიდან გადმოხედვისა და გრიბოედოვის აკლდამის მეტი არაფერი დამახსოვრებია.

დიახ, ყველანი გეტყვიან, თუ რა დიდებული ძეგლი დაუდგა რუს პოეტს ქართველმა მეუღლემ. ზოგს საფლავის ეპიტაფიაც ზეპირად დაუსწავლია, მაგრამ თითქმის ვერავინ გაიხსენებს სახელებს იმ დიდი ქართველი მწერლებისას, რომლებიც ამ პანთეონში განისვენებენ. გული დაგწყდება, რომ ვერ დაასახელებენ ვერც ილიას, ვერც ვაჟას, აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს... მერედა ვისი ბრალია ეს? ვისი და ჩვენი! პირველ რიგში კი, „ჩვენი" გიდებისა!

თუ როდისმე შესწრებიხართ მთაწმინდის პანთეონში ექსკურსანტების მოსვლას, ნახავდით, რომ ისინი დიდხანს მხოლოდ გრიბოედოვის საფლავთან ჩერდებიან. გიდი მოუთხრობს პოეტის ტრაგიკული აღსასრულის შესახებ, იმასაც იტყვის, თუ როგორ შეუსრულა მეუღლემ ანდერძი, დაემარხათ ამ ტაძართან. მოუყვება უიღბლო სიყვარულზე ახალგაზრდა ნინო ჭავჭავაძისა, რომელიც ჩვიდმეტი წლისაც არ იყო, რომ დაქვრივდა და გათხოვებაზე აღარც უფიქრია, თუმცა სილამაზით განთქმულ თავადის ასულს ხელის მთხოვნელი ბევრი ჰყოლია. ეს ამბავი ზოგს დაუჯერებელი, ლამაზი ლეგენდა ჰგონია. რა თქმა უნდა, ეს უკვე მათი საქმეა, დაიჯერებენ თუ არა, ჩვენ ძალას ვერ დავატანთ... მოისმენენ გრიბოედოვის ამბავს და მორჩა, ტურისტები უცებ შემოირბენენ ან გიდი შემოარბენინებთ ტაძრის გარშემო მდებარე ქართველ მწერალთა საფლავებს და ისევ დაბლა ჩამოვლენ, ერთხანს კიდევ შეჩერდებიან გრიბოედოვის აკლდამასთან და თავქვე დაუყვებიან ქალაქისაკენ. ჩვენ კი გვგონია, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი ინახულა ამდენმა მილეთის ხალხმაო.

ქართული ხუროთმოძღვრების მშვენებას, ჯვრის მონასტერსაც, არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ იმით აცნობენ მნახველს, რომ იგი მოხსენებულია ლერმონტოვის პოემა „მწირში". მთის ძირას, საქართველოს სამხედრო გზის პირზე წამოჭიმულ ძეგლს რომ ნახავდა უცხოელი ტურისტი, არ გაგიკვირდეთ, კვარცხლბეკზე ტაძრის მაკეტით შემომდგარი კაცი (მიხეილ ლერმონტოვი) ჯვრის მონასტრის არქიტექტორი რომ ჰგონებოდა.

ეს წერილი დიდი ხნის დაწერილი მქონდა, როცა მთაწმინდის პანთეონში კიდევ მომიწია ასვლა. ტურისტთა მოზრდილი ჯგუფი მოვიდა პანთეონში. სულ რაღაც ოცდახუთ წუთს ილაპარაკა გიდმა. აქედან დროის ორი მესამედი გრიბოედოვზე საუბარს მოანდომა, ერთი მესამედი — ყველა დანარჩენს. კარგად გააშუქა გრიბოედოვთან დაკავშირებული ფაქტები. მერე ზეპირად თქვა ლენინგრადელი პოეტის პოლიაკოვას ლექსი ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი. რამდენიმე სიტყვა ქართველ მწერლებზეც გამოიმეტა. მათი ლექსები კი არც რუსულად გახსენებია და არც ქართულად. ოღონდ ეგ იყო, ყველა მწერალს ქართული ლიტერატურის „ოსნოვოპოლოჟნიკი" უწოდა (ცოტა განათლებული საზოგადოების წარმომადგენლები რომ ყოფილიყვნენ ეს ტურისტები, ხომ იკითხავდნენ, რა ამბავია ამდენი ფუძემდებელი, ყოველ ხუთწლედში ახალ ლიტერატურას უყრიდნენ ქართველები საფუძვლებს?). ჩვენს მწერლებსა და მსახიობებს არცერთი ჯილდო არ დაუვიწყა, სულ ჩამოთვალა, ვინ რამდენჯერ მიიღო სახელმწიფო პრემია, ლენინის ორდენი თუ სიგელმედლები. ამ ჯილდოების ჩამორიგება ისეთ სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ გამოჩენილ მსახიობს ვასო აბაშიძესაც კი „მიანიჭა" „სსრკ სახალხო არტისტის" წოდება. მიხა ცხაკაიას საფლავს კი რომ მიადგა, რაღაც მოწიწებით წარმოთქვა (არა, ეს რუსულად უნდა გავიმეორო): „ზდეს პოკოიტსია იზვესტნი გრუზინსკი რევოლუციონერ-ბოლშევიკ, სორატნიკ ველიკოვო ლენინა, მიხა ცხაკაია". ერთი კი გავიფიქრე, მოდი, მივალ, ვეტყვი, ბარემ ისიც უთხარით, რომ კომუნისტური პარტიის № 1 მანდატი ამ ცხაკაიას ჰქონდა-თქო. მაგრამ გადავიფიქრე. ვაითუ ტურისტებს ეწყინოთ, ქართველები ლენინს პირველობაში ეცილებიანო. თავი შევიკავე, გუნებაგახწყობილება არ გავუფუჭო-მეთქი.

ეს მტკვრის მარცხენა მხარეს, მარჯვენა მხარეს კი, სალობიე-სახინკლესთან წაიკითხავთ: „აქ შეჩერდა ა. ს. პუშკინი" და გიდიც ამაყად მოუყვება ეგზოტიკურ ქოთნებთან (ლობიოს ოხშივარი რომ ასდის!) ჩამომხდარ ტურისტებს პუშკინის მოგზაურობაზე კავკასიაში.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენც ტურისტები ვართ, ლობიოს ქოთნებს ვუსხედვართ და ვუსმენთ გიდის მოხათხრობს. დავაწყეთ კოვზები და ვიკითხეთ: „აქ რატომ შეჩერდა პუშკინი? მაშინაც დუქანი იყო და ხინკალზე ან ლობიოზე შემოიპატიჟეს მასპინძლებმა?" ან იქნებ ყველა ბუჩქთან, სადაც დიდ რუს პოეტს მოუწია შეჩერება და ნაბახუსევზე ზედმეტი სითხისაგან განთავისუფლება, წარწერა უნდა გავაკეთოთ?

ღმერთო დიდებულო, როდემდე უნდა ვათრიოთ მონური სული? ყოველთვის სხვას რატომ უნდა ვცემდეთ პატივს და ჩვენსას ჩრდილში ვაყენებდეთ? სამხედრო გზაზე, კავკასიის მთებში, ორი დიდი ქართველი პოეტი — გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე — ქართული მწერლობის ორი დიდი მწვერვალი შეხვდა ერთმანეთს, ერთი რუსეთს მიმავალი, მეორე იქიდან მომავალი. ნეტავი, იმ ადგილზეც თუ გაქვთ ასეთი წარწერა? რაღაც არ მაგონდება.

ერთხელ სვეტიცხოველში მყავდა ლატვიელი სტუმარი. ბევრი ტურისტი შემოსულიყო ტაძარში, ათამდე ჯგუფი მაინც იქნებოდა. ყაყანისაგან ყურთასმენა არ იყო. ერთი ექსკურსანტი, როგორც მახსოვს, სარატოველი, ტალახიანი ფეხებით შემდგარიყო ვახტანგ გორგასლის საფლავზე და უშნოდ ირწეოდა. მივედი და ყურში ჩავჩურჩულე: თუ შეიძლება, გადმოდით საფლავიდან, პატივი ვცეთ მიცვალებულს-მეთქი. გაკვირვებით შემომხედა, ალბათ, მეც შორიდან მოსული ვეგონე. ხმამაღლა მითხრა: „ქართველებს დიდ პატივად მიაჩნიათ, როცა მათ წინაპრებს საფლავზე სდგებიან!" მოულოდნელობისაგან გავშეშდი. ამ საუბარს გიდმა მოჰკრა ყური და მეგონა, ყველას გააფრთხილებდა, ეცათ პატივი ტაძარში განსვენებული ადამიანებისათვის, ყოველ შემთხვევაში, ფეხი მაინც აერიდებინათ წარწერებისათვის. მწარედ მოვტყუვდი. გიდმა ოდნავ შეცვალა გაზეპირებული საუბარი და უზარმაზარ ჯგროს მიმართა: „აქ ვილაცეები შენიშვნას იძლევიან, საფლავებზე ნუ დგახართო, როგორც ჩანს, არ იციან, რომ თვითონ მათ, ვინც აქ განისვენებენ, დაიბარეს, საფლავზე დაგვადექითო" (?!).

კინაღამ ენა ჩამივარდა. ჩემი სტუმარიც გაოგნებული იდგა. მახსოვს, ბავშვობაში ერთ ნაღვლიან სიმღერას მღეროდნენ: „ნუ ჩამოჯდები საფლავის ქვაზე, მიწა ჩამოდის, მეყრება გულზე..." ახლაც გულსა ხვდება ეს სიტყვები.

ასეთ ბარბაროსობას ვერცერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ. ბალტიისპირეთის ქვეყნებში კი არათუ დიდ ტაძრებში, ჩვეულებრივ მუზეუმშიც არავის შეუშვებენ ფეხსაცმლით, ან დაახდევინებენ, ან ზედ ამოაცმევენ ფაჩუჩებს. ჩვენთან კი ლამის ყველა მუზეუმში, თვით სვეტიცხოვლის დიდ ტაძარშიც კი, სადაც ამდენი მამულიშვილი განისვენებს, ყოველდღე ათასობით ფეხი თელავს ეპიტაფიებს. ეს წარწერებიც ხომ ჩვენი ისტორიის ნაწილია. მერედა, ასე უნდა წარსულის ნაშთებს გაფრთხილება? როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გაუძლებს ეს წარწერები ტალახიან ფეხსაცმელებს? რიგის დომის ტაძარს, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ორღანი რომ აქვს ევროპაში, დიდი ხნის მანძილზე საკონცერტო დარბაზად იყენებდნენ (ახლა აქაც განახლდა ღვთისმსახურება!). დარბაზი 1600 მსმენელს იტევს, მაგრამ მაშინაც, როცა საკონცერტო დარბაზი იყო და დღისითაც ათასობით ექსკურსანტი შემოჰყავდათ, გარკვეულ ადგილზე ფეხს არავის დააკარებინებდნენ. სხვათა შორის, ამ ტაძარშიც განისვენებენ ადამიანები, მაგრამ წარწერაზე ერთ ასოსაც ვერ ნახავთ წაშლილს!

სულ ტყუილად შემახსენებთ დავით აღმაშენებლის სიტყვებს: საფლავზე დამადექითო. რაღა მაინცდამაინც ეს სიტყვები გავიგეთ პირდაპირი მნიშვნელობით?

— ვიცი, ამ წერილში გამოთქმული შეხიშვნები ბევრს არ ესიამოვნება. შეიძლება არც დაიჯერონ, რაც აქ აღვწერე. მე თანახმა ვარ, მათთან ერთად შევამოწმოთ მათი გიდების ცოდნა — უჩუმრად გავყვეთ და მოვუსმინოთ, რას და როგორ უყვებიან ჩამოსულ სტუმრებს (პატიოსანი, საქმის მცოდნე გიდიც შემხვედრია, ღმერთმა გვიმრავლოს ასეთები. მათზე შემდეგ ვთქვათ!). ისე კი, საინტერესოა, ყველამ იცოდეს, რა ხალხითაა დაკომპლექტებული ეს საექსკურსიო პერსონალი, ვინ არიან, რა რჯულისანი, ან რა განათლება აქვთ? იციან კი მათ საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა, ონომასტიკის საკითხები?..

ხშირად გაიგონებთ, რად გვინდა ამდენი ისტორიკოსი, ფილოლოგი... მართლაც რად გვინდა, თუ არ დავასაქმებთ, მათ ცოდნას ვერ გამოვიყენებთ?.. ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, საქართველო ტურიზმის ქვეყანაა, ყოველწლიურად მატულობს უცხოელ ტურისტთა ჯგუფები. ისინი ჩვენგან ძირითადად იმ ინფორმაციას წაიღებენ, რასაც გიდებისაგან მოისმენენ. სწორედ ამიტომ გვჭირდება კარგი კადრების შერჩევა და მომზადება. შემთხვევითი პირები დროზე უნდა ჩამოშორდნენ ამ საქმეს. უნივერსიტეტი, უცხო ენათა და სხვა ინსტიტუტები საკმაოდ ბევრ სპეციალისტს უშვებენ, სწორედ ეს კადრები უნდა გამოიყენონ. მათგან მომავალი გიდების შერჩევა და მომზადება სულ რამდენიმე თვეში შეიძლება. სპეცკურსები უნდა წაეკითხოთ საქართველოს ისტორიაში, ქართულ ფილოლოგიაში და განსაკუთრებით კი ონომასტიკაში, თუ გვინდა ტურისტად ჩამოსულ სტუმარს უტყუარი ინფორმაცია გავატანოთ.

**აუცილებლად** უნდა შემოწმდეს ე. წ. „შემოყოლილი გიდების" ვინაობა, მათი ცოდნა. რას უყვებიან და როგორ აცნობენ ტურისტებს ჩვენს სამშობლოს. ეს კი მეორეხარისხოვანი საქმე ნურავის ეგონება. ყველა ღირსეული ერი ღირსეულად პატრონობს თავის კულტურას, წარსულსა და აწმყოს.

ჩვენს ერს არასოდეს დალევია მტერ-მოყვარე. არც ახლა, დამოუკიდებლობის გზაზე მიმავალთ გვაკლია ისინი. მოყვრად მოსული სტუმარი ზოგიერთმა ვაიგიდმა შეიძლება ჩვენს მოძულედ აქციოს...

ამ საქმეს დროზე უნდა მიხედვა!

# საქართველოს სახალხო ფრონტში

**1991 წლის** 16 იანვარს შედგა სსფ დარბაზის ღია სხდომა, რომელსაც დაესწრო 120 კაცი. დღის წესრიგში გათვალისწინებული იყო სამი საკითხი: 1) საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება; 2) განათლების კომისიის საქმიანობის შესახებ; და 3) პრესისა და ინფორმაციის კანონის პროექტის განხილვა. მაგრამ დაძაბულმა ვითარებამ, რამაც შიდა ქართლში კულმინაციას მიაღწია; კრემლის მიერ ლიტვაში დატრიალებულმა სისხლისღვრამ და ერაყ-ქუვეითის კრიზისმა, რაც მთელ მსოფლიოს ახალი ომით ემუქრება, დღის წესრიგი შეცვალა.

პოლიტიკურ ვითარებაზე მოხსენებით გამოვიდა სსფ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე. მან აღნიშნა, რომ ერაყ-ქუვეითის კრიზისმა ერთგვარად შეცვალა პოლიტიკური კლიმატი მსოფლიოში. მთელი ყურადღება ამ რეგიონზეა მიპყრობილი. ამით სარგებლობს კრემლის ხელისუფლება და ახორციელებს ტრადიციულ აგრესიულ პოლიტიკას სსრკ-ში შემავალი თავისუფლებისმოყვარე ერების წინააღმდეგ. ამის მაგალითია ლიტვაში მომხდარი სისხლიანი აქცია, რამაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ასეთივე ბედი მოელით, ალბათ, ლატვიასაც და ესტონეთსაც. რისი იმედი შეიძლება გვქონდეს ასეთ დროს? როგორც ჩანს, მსოფლიოს საზოგადოებრიობის აქტიური ჩარევა სსრკ „შინაურ" ვითარებაში დღეს ძნელად თუ მოხდება. მაქსიმუმი, რაც შეიძლება გააკეთონ, ისაა, რომ სსრკ-ს შეუწყვეტენ სესხებს და სხვა დახმარებას. ასე, რომ, ლიტვამაც, ლატვიამაც და საქართველომაც თავად უნდა ეძებონ გამოსავალი, რადგან, როგორც ჩანს, ლიტვის ამბები იმის მაუწყებელია, რომ კრემლი შეტევაზე გადავიდა.

არსებობს ცნობები, რომ საქართველოშიც აქვს ადგილი სამხედრო ტექნიკის გადმოსროლას (ბათუმში, ვაზიანში). ასეთ დროს პირველი რიგის ამოცანაა მოსახლეობის დაცვა. ვინაიდან მილიციის ნაწილები სამაჩაბლოშია თავმოყრილი, ეს იწვევს საჭიროებას, რომ ჩვენით შევუწყოთ ხელი მოსახლეობის დაცვას ქალაქში. რაზმები, რომლებიც მომავალში სახალხო ფრონტთან იარსებებენ უნდა მოქმედებდნენ ამ მიმართულებით. ესაა მოსახლეობის ფიზიკური დაცვა. რაც შეეხება ჩვენი ინტერესების იურიდიულ დაცვას, ეს პარლამენტის საქმეა. ამიტომ პარლამენტს ჰმართებს შეუდრეკლობა, რათა აღებულ კურსს არ გადაუხვიოს, არამედ განამტკიცოს და გაამყაროს იგი. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ პარლამენტის ავტორიტეტს, რადგან მისი დისკრედიტაცია მთელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაცია იქნება. სწორედ ამას ცდილობს მტერი. ჩვენთვის ცნობილია, რომ ლიტვის პარლამენტი საალყო მდგომარეობაშია. ასეთივე სიტუაცია რომ განმეორდეს საქართველოში და უფრო მეტიც, — იარაღითაც რომ დაგვადგნენ რუსი სამხედროები დეპუტატებს — ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი საქმიანობა და უკან არ უნდა დავიხიოთ.

თუ აქამდე ზოგიერთი უზენაესი საბჭოს დეპუტატი პასიურობდა, ახლა ყველას მართებს გააქტიურება ასჯერ და ათასჯერ.

დასასრულ ორატორმა აღნიშნა, რომ დღესდღეობით დაუშვებელია ნებისმიერი პოლიტიკური დაპირისპირება საქართველოში.

კამათში მონაწილეობდნენ თენგიზ ლილუაშვილი, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ვახტანგ ბურდული, ზურაბ გოგია, გოჩა გავაშელი, ავთანდილ ბერიძე, ლევან მესხი, შოთა ნადირაშვილი და სხვა.

# კომპარტია — მრის სამსახურში?

## მიხეილ მახარაძე

**სკკპ-ს წევრი „მტკიცედ და განუხრელად ახორციელებს პარტიის გენერალურ ხაზს...“ (სკკპ-ს წესდებიდან).**

მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში სკკპ-ს საქართველოს ორგანიზაციამ მარცხი განიცადა და რესპუბლიკაში პოლიტიკური ძალაუფლება დაკარგა, ბუნებრივი იყო ისიც, რომ დღის წესრიგში დამდგარიყო პარტიის სტატუსის საკითხი. და, აი, 1990 წლის 8 დეკემბრის ყრილობამ საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, შეიცვალა პარტიის პირველი მდივანიც. თანდათანობით მიმდინარეობს საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ძველი კადრების შეცვლა ახლებით. ბუნებრივია, დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ რა სამსახურს გაუწევს დამოუკიდებელი კომპარტია, სულ ახლახან უზარმაზარი რესურსებისა და ძალის მქონე, ქართველ ხალხს? ჩადგება თუ არა ის ერის სამსახურში? საერთოდ, თუ არის შესაძლებელი კომპარტიამ ეროვნული საქმე გააკეთოს? ამ ეჭვების მიზეზი კი ისაა, რომ **კომუნისტური პარტია კოსმოპოლიტიური ორგანიზაციაა, რომელიც საფუძველშივე უარყოფს ყოველგვარ დამოუკიდებლობას, ფრაქციულობას, ეროვნულ პრობლემატიკას და ა. შ.** შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ყრილობისადმი მიძღვნილ წერილს ბატონმა ალეკო ასლანიშვილმა ერთობ დამაფიქრებელი სათაური წაუმძღვარა: „კანის გამოცვლა თუ ფერისცვალება?“.

როგორც ცნობილია, სკკპ-ს დიქტატი სწვდებოდა არა მხოლოდ მასში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკათა პარტიულ ორგანიზაციებსა და სოციალისტური ქვეყნების მსგავს პარტიებს, არამედ კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიებსაც კი. სწორედ ეს გარემოება ბადებს ეჭვს საქართველოს კომპარტიის რეალურ დამოუკიდებლობაზე.

კომუნისტური პარტია რომ მშრომელი მასების „ქომაგი“ და კოსმოპოლიტური ორგანიზაციაა, კარგად ჩანს პარტიის წესდებიდანაც: პარტიის წევრი მოვალეა — „თანამიმდევრულად ავრცელებდეს პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებს მშრომელთა მასებში...“. აქ ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ამა თუ იმ კონკრეტულ ერზე და ვფიქრობთ, საეჭვო არ უნდა იყოს ის, რომ თუკი კომპარტიის პოზიციაზე დადგები, ამ პრინციპს ვერ დაარღვევ, ამ პრინციპის ერთგულებით კი ეროვნულ საქმეს ვერ გააკეთებ.

„ფრაქციულობისა და ჯგუფურობის ყოველგვარი გამოვლინება შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ პარტიულობასთან, პარტიაში ყოფნასთან“, — აღნიშნულია პარტიის წესდებაში. შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი რეალური დამოუკიდებლობა მოინათლება, როგორც ფრაქციულობა, რაც შეუთავსებელია კომპარტიის წესდებასთან. ამრიგად, წესდების არც ეს პუნქტი იძლევა საფუძველს, რათა საქართველოს კომპარტია დამოუკიდებელი იყოს.

წესდების მიხედვით „მთელ თავის საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით...“ ისმება კითხვა — რა მოძღვრებით უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს დამოუკიდებელმა კომუნისტურმა პარტიამ? რა თქმა უნდა, მარქსისტულით! სხვა შემთხვევაში ის არ იქნება კომუნისტური პარტია!

უშვებს, თუ არა სკკპ მასში შემავალი პარტიული ორგანიზაციების დამოუკიდებლობას? უშვებს, მაგრამ გარკვეული დოზით: „ყველა პარტიული ორგანიზაცია ავტონომიურია ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, **თუ ეს გადაწყვეტილებები არ ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკას**“. თუ არ მეშლება, საქართველოს კომპარტია სინამდვილეში ყოველთვის იყო სკკპ-ს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია. გამომდინარე აქედან, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობა თავსდება წესდების ჩარჩოებში.

სკკპ-ს წესდება არავითარ გამონაკლისს არ უშვებს: „პარტიას ერთი დისციპლინა, ერთი კანონი აქვს ყველა კომუნისტისათვის...“. არ უნდა იყოს სადაო, რომ ეს პრინციპი ვრცელდება როგორც კომპარტიის თითოეულ წევრზე, ისე საკუთრივ კომპარტიის ორგანიზაციებზე.

ვიცი, კომუნისტები შემომედავებიან და იტყვიან: ჩვენ ხომ უკვე გამოვეყავით საკავშირო კომპარტიას და დამოუკიდებელი ვართო. პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ ქართველ კომუნისტთა უმრავლესობა ამ გადაწყვეტილების მხარდაჭერისას გულწრფელი იყო. მაგრამ, რამდენადაც კომუნისტური პარტიის არსი ამგვარ გამოყოფასა და დამოუკიდებლობას არ უშვებს, ამდენად, ეს გამოყოფა და დამოუკიდებლობა უფრო ილუზია უნდა იყოს. ეს რომ ასეა, ამაში მალე დავრწმუნდებით.

ვინც საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის ავთანდილ მარგიანის გამოსვლები მოისმინა, ეჭვს გარეშეა მოხიბლული დარჩებოდა მისი გულწრფელობით, მისი პატრიოტიზმით. ასევე შეუძლებელია ეჭვი შეიტანო მის მისწრაფებაში, რომ ემსახუროს ერს და პარტიის ძალებიც ეროვნულ სამსახურში ჩააყენოს. ამის დასტურია მისი შემდეგი სიტყვები: „ჩვენ განზრახული გვაქვს ხელი შევუწყოთ ჯავახეთის, აჭარის, სვანეთის, სამაჩაბლოს აღორძინებას, საქველმოქმედო საზოგადოებას, საერთოდ, ვაკეთოთ ერის სასიკეთო საქმე“ („თბილისი“, 18. 12. 90). გარდა ამისა, კომპარტიამ ჩამოაყალიბა სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი, რითაც სიტყვა მაშინვე საქმედ აქცია. მაგრამ, რომ იტყვიან თავს ზემოთ ძალა არააო და თვით ბატონი ავთანდილ მარგიანის სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიას არავითარი დამოუკიდებელი პრინციპები არ გააჩნია. ვნახოთ, რა ამოცანები აქვს საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიას:

„ — არა, კომუნისტური იდეები უარყოფილია, ისინი არც არსებობდა, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ რეალური სოციალიზმისათვის“, — აღნიშნავს ბატონი ავთანდილი ზემოთ ინტერვიუში. როგორც ვხედავთ, საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიაც იმავე მიზანს ისახავს, რასაც საკავშირო კომპარტია — რეალურ სოციალიზმს! აქედანაც ჩანს, რომ, არსებითად, კომპარტიის დამოუკიდებლობა შეუძლებელია, თუკი ის კომპარტიაა.

ბატონი ა. მარგიანი უნდა დაგვეთანხმოს იმაში, რომ მისი სიტყვები: „პარტიის პრესტიჟი უნდა აღდგეს, იგი ეროვნულ მოძრაობაში უნდა ჩაებას,“ ბევრ საფიქრალს აღძრავს. მას შემდეგ, რაც საყოველთაოდ ცხადი შეიქნა კომპარტიის დანაშაულობანი ხალხის წინაშე, მისი პრესტიჟის აღდგენაზე ზრუნვა, რბილად რომ ვთქვათ, უაზრობაა. მტრისას, „პრესტიჟაღდგენილი“ პარტია ეროვნულ მოძრაობაში რომ ჩაებას! მითუმეტეს, თუ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ, რომ კომპარტიისათვის არავითარი ეროვნული პრობლემატიკა არ არსებობს, პირიქით, კომუნისტური იდეოლოგია სწორედ რომ ეროვნულობის უარყოფაა.

ამავე მიზეზით ვერ დავეთანხმებით ბატონ ა. მარგიანის აზრს იმის თაობაზე, რომ ქართველი კომუნისტების ძალა და ენერგია დააყენოს „ეროვნული მოძრაობის სათავეებთან“. მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა სამართლიანი განაჩენი გამოუტანა კომპარტიას და ჩამოაშორა ხელმძღვანელობისაგან, ცოტა სახიფათო ხომ არ ჩანს ამგვარი მისწრაფება?

კომპარტიის საქმიანობისადმი დამოკიდებულება დიდ სიფხიზლესა და ყურადღებას მოითხოვს. მითუმეტეს, რომ კომპარტია, როგორც კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობა, იდეოლოგია და ორგანიზაცია ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ პატარა ერებს უქმნის. სულ ახლახან ლიტვაში დატრიალებული ტრაგედია ამის უტყუარი საბუთია — ლიტველი კომუნისტების ერთმა ნაწილმა ხომ კრემლთან ალიანსით შექმნა ე. წ. „ლიტვის ხსნის კომიტეტი“ და საკუთარი ხალხის დასარბევად მოიწვია საბჭოთა ჯარის ნაწილები.

დიდი სიფრთხილე გვმართებს ამ მხრივ ჩვენც. ჩემი სიტყვები უსაფუძვლოდ რომ არ მოეჩვენოს ვინმეს, მოვიტან ერთ ასეთ მაგალითს. მკითხველს ემახსოვრება, თუ როგორ მკაცრად გამოვიდა წინასაარჩევნო დღეებში, ტელევიზიით ბატონი გრიგოლ ონიანი (საზოგადოება „სტალინის“ სახელით). მან გამოხატა დიდი განრისხება იმათ მიმართ, ვინც სტალინზე სხვანაირად ფიქრობს და ასევე დიდი მუქარით ამცნო ტელემაყურებლებს, რომ ყველა იმ ქართველის უარყოფითი წერილი, რომელიც სტალინისადმია მიძღვნილი ცალკე წიგნად უნდა გამოვცეთო. ბოლოს კი ტკბილი ძილი უსურვა „მგზნებარე სტალინელებს“. საქართველოს ცკ-ის ახლანდელი პირველი მდივანი კი სტალინს, ხრუშჩოვს, ბრეჟნევს და კიდევ სხვებს ერთ კონტექსტში იხსენიებს: „ერთ კაცს შეუძლია სახელი გაუტეხოს მთელ სოფელს. ასე იყო პარტიაც. სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო... გაუტყდა პარტიას სახელი“. ამ აღიარების მიუხედავად, მაინც შესაძლებელი გახდა, რომ პარტიის [illegible] კომიტეტის მდივნად, რომლის თავკაციც ბატონი ავთანდილ მარგიანია, „არჩეული“ ყოფილიყო ისეთი „მგზნებარე სტალინელი“, როგორიცაა ბატონი გრიგოლ ონიანი. ვფიქრობ, აქ კომენტარები ზედმეტია და ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საქართველოს კომპარტიის უბრალო ფერისცვალებასთან.

ერთი მხრივ, სკკპ-ს წესდებიდან მოტანილი ამონაწერებისა და მეორე მხრივ, საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის პირველი მდივნის ავთანდილ მარგიანის გამონათქვამთა შეჯერებით ცხადი გახდა, რომ კომპარტიად დარჩენის შემთხვევაში გამორიცხულია რეალური დამოუკიდებლობა, რადგანაც:

კომპარტია, როგორიც არ უნდა იყოს ის, კოსმოპოლიტურია და ეროვნულ პრობლემატიკას არ სცნობს!

არ არსებობს კომპარტია, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმს არ ემყარება, სხვანაირად ის კომპარტია ვერ იქნება!

კომპარტია პროლეტარიატის სახელითა და ინტერნაციონალიზმის დროშით გამოდის. თუ ამ პრინციპს არ აღიარებს ის პარტია კომპარტია აღარაა, და ა. შ.

**გამომდინარე აქედან, კომპარტიის ერთგულებით ეროვნულ საქმეს ვერ გააკეთებ და თუ აკეთებ — აკეთებ ამას შენი კაცობით, ქართველობით და არა კომპარტიის წევრობით.**

ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებათა გამო, საქართველოს კომპარტია ქართველი ხალხის სამსახურში ვერ ჩადგება და თუ ჩადგება, კომპარტია აღარ იქნება.

**რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, კომპარტია ეროვნულ საქმეს ვერც გააკეთებს და არც გააკეთებს, ეს მის პრინციპებში არ შედის!**

ჩვენი წერილი გერცენის ერთ აზრთან ანალოგიით გვინდა დავამთავროთ. გერცენის აზრით, ჰეგელმა აზროვნება იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომ წინ ვერ წახვალ იდეალიზმს თუ არ გაემიჯნე. იმის მიუხედავად, მართალი იყო თუ არა გერცენი ჰეგელის შემოქმედების ამ შეფასებისას, მის აზრთან ანალოგიით შეიძლება დავასკვნათ: **კომუნისტურმა პარტიამ და მის მიერ განხორციელებულმა ტოტალურმა რეჟიმმა ისე შეტოპა, ისე შორს წავიდა, რომ მისი სახელით წინ ველარ წახვალ და სასიკეთოს ველარ გააკეთებ, თუ მას საბოლოოდ არ გაემიჯნე.**

# გვინდა თუ არა იარაღი?

(დასასრული)

ლად გამოიგონა ოდესღაც ბუნებისაგან შეჭირვებულმა ადამიანმა. იარაღის უკეთურად მოხმარებაა ბოროტება (დანას ზოგი პურის დასაჭრელად ლესავს, ზოგი კი კაცის მოსაკლავად), რამაც მშვილდი ატომად აქცია, ხოლო თუ ბოროტება სულში აღზევებულია, მას სულ სხვაგვარად უნდა ვებრძოლოთ.

ახლა ისიც ვიკითხოთ, თუ მილიციას, სუკ-ს, ეგერებს (აღარაფერს ვამბობ წითელ არმიაზე) იარაღს ვანდობთ, ვითომ რაო, ისინი სამაგალითონი არიან „ცხოვრებისეული ცთუნებების“ მოძალების ჟამს? იქნებ, უფრო უპრიანი იყოს, იარაღი ვანდოთ ექიმსაც, ინჟინერსაც, ჟურნალისტსაც, პედაგოგსაც, მსახიობსაც, მუშასაც, გლეხსაც, სპორტსმენსაც, დიასახლისს თუნდაც. არ გაიოცოთ ეს უკანასკნელი, — ქართველი ქალების ხანჯლებს ბევრჯერ უპოვიათ მოძალადეთა გულები, რომელი სჯობია: როცა უკეთური, ქურდი, რეციდივისტი მიდის პატიოსან ადამიანზე თავდასასხმელად და გარანტირებულია, წინააღმდეგობას ვერ გამიწევენო, თუ როცა იცის, როცა შიშობს, დამხვდურს კანონიერი იარაღი აქვს და აქეთ არ გადაეყაროს ხიფათსო?

ბოლშევიზმს, ისევე, როგორც ყველა დიქტატურას, ხელს აძლევდა იარაღზე სახელმწიფოს პრიმატი და ყველამ კარგად უწყის, რატომაც. ისე ჩაატარეს რეპრესიები, ერთი საპასუხო გასროლაც არ მოუსმენიათ.... ქართველობა კი ისტორიულად ამას ჩვეული არ ყოფილა, მას სასიცოცხლო აუცილებლობად ჰქონდა ქცეული „ქუდზე კაცის“ გამოყვანა. ე. ი. ყველას უნდა ეტარებინა იარაღი განსხვავებით აზიის სხვადასხვა ხალხისა, რისგამოც ზოგი იძულებული იყო, კუნფუ, კარატე გამოეგონებინა, თუ არა და დასაკლავი ქათამივით ჰქონდათ გადადებული თავი სპარტელი მოქალაქეების გასართობად (ჰოპლიტები მყავს მხედველობაში). თვით დავით აღმაშენებლისა და თამარის მონარქიული ცენტრალიზმის ჟამს, სამეფო სპასთან ერთად არსებობდა, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, მეომართა სახალხო რეზერვი (სხვათაშორის, ახლადჩამოსახლებული ყივჩაღების თვალყურის სადევნელადაც), რომელიც გუთანთან ერთად მუდამ იარაღმომარჯვებული იყო.

— ახლა სხვა დროა! — იტყვის მესამე. ვითომ? იქნებ, პირიქით! ვგონებ, წინა დროსთან შედარებით დღეს ორგვარი იარაღის ქონაა საჭირო: საბრძოლო და საინფორმაციო იარაღისა, როგორც პირველი, ისე მეორე საკითხი, ჯერჯერობით, გადაუწყვეტელია. მაგალითად, როდემდე უნდა არსებობდეს ჰებელსის მსგავსი პოსტი, — ტელევიზიისა და რადიოს ყველა რედაქციის გენერალური მთავარი რედაქტორის ანუ თავმჯდომარის პოსტი? როგორც რესპუბლიკის ყველა ჟურნალ-გაზეთს არ შეიძლება ერთი მთავარი რედაქტორი ჰყავდეს, ისევე, ჯერ ერთი, ტელევიზია და რადიო ცალცალკე უნდა იყოს, მეორეც, თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი, კონკურენციის უნარიანი რედაქციები უნდა ჰქონდეს. მათ ისეთივე სახელშეკრულებო მიმართება უნდა ჰქონდეთ ტელე-რადიო ტექნიკის მესვეურებთან, როგორც პრესის რედაქციებს აქვთ გამომცემლობებთან.

(მომიტევეთ თემიდან გადახვევა).

ისევე, როგორც არ შეიძლება ინფორმაციული იარაღის (ტელევიზია, რადიო, პრესა, ტელეგრაფი, ვიდეოტექნიკა, ტელეფონი და ა. შ.), ლიკვიდაცია, ასევე არ შეიძლება საბრძოლო იარაღის აკრძალვაც. გაიხსენეთ, რამდენიც გნებავთ თანამედროვე, მოწინავე ქვეყანა, სადაც თავისუფლად იყიდება იარაღი მაღაზიებში. განა ამის გამო იქ მეტი უსამართლობა და დანაშაულია? აკრძალული ხილისა არ იყოს, აკრძალული იარაღი უფრო „ტკბილი“ ყოფილა.

ახლა სხვა რამეც ვთქვათ. გავიხსენოთ წარსული და აწმყო. ყოფილა საქართველოში ოდესმე გენოციდი? სდევნიან ჩვენში უცხოელებსა და სხვა რჯულის მიმდევრებს? თვით იმპერიული ზეობის დროს (დავით IV, თამარ მეფე) აძლევდა თუ არა საქართველო მსოფლიოს ჰუმანიზმის მაგალითს? პლანეტაზე პირველად ქართველმა დედოფალმა აკრძალა თუ არა კაცის სიკვდილით დასჯა? ოსთა და აფხაზთა გაბრიყვებული ნაწილის უკეთურობას ღირსეულად უპასუხა და პასუხობს თუ არა ქართველობა? წარმოიდგინეთ, რას იზამდენ სხვა ხალხები ჩვენს ადგილზე. და განა ამის შემდეგ შეიძლება იარაღის ტარებას უკრძალავდე ქართველს? მითუმეტეს, რომ ტრადიციულად ხმალ-ხანჯალი, დამბაჩა, თოფი, მისი ეროვნული სამოსის მშვენებაა (სხვათაშორის, ეროვნულ სამოსთან ერთად იარაღის ტარებას კანონი დღესაც ვერ კრძალავს).

იარაღს უნდა ატარებდეს საქართველოს ყველა მოქალაქე და ნუ შეცბებით, — თვით კონფლიქტის შემთხვევაშიც ეს უკეთესია, რადგან შინაურ თუ გარეულ მტერს ეცოდინება, რომ წინ შეიარაღებული ქართველი ხვდება. შეიარაღებული ქართველი რასაც ნიშნავს, იციან მათ.

არიან ერები, რომლებიც მომძლავრდებიან თუ არა, ომზე, ტაცობაზე უჭირავთ თვალი, საქართველოს კი მსოფლიოში საუკეთესო თავდაცვითი სტრატეგია ჰქონდა მუდამ. დღესაც ასეა, — შეიარაღებული ქართველი იყო და იქნება ყველა მოძმის, სტუმრის, ხიზნის, რაღა თქმა უნდა, ყველა მოქალაქის მშვიდობის გარანტი. ის, თუ საჭირო იქნება, კვლავაც შესძლებს ჩაიდინოს სამყაროსეული განზომილების სასწაულები: როცა თურქეთიდან ლტოლვილი, გენოციდს გადარჩენილი 150 ათასამდე სომეხი სამშობლომ არ მიიღო და საქართველომ შეიფარა; როცა ისრაელის ტანჯული ხალხი 26 საუკუნე იძმო და შეითვისა; როცა უცხოტომელებს ჩვენმა უდიდესმა მეფეებმა მეჩეთები, სინაგოგები აუგეს და საცხოვრებლად თავიანთ სამშობლოზე უკეთესი პირობები შეუქმნეს.

ამდენად, იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეს საზოგადოების ყველა სრულფასოვან და ზრდასრულ წევრს. რა თქმა უნდა, ის უნდა აეკრძალოთ დამნაშავეებს, ნარკომანებს, ლოთებს, ფსიქიკურად დაავადებულთ, არასრულწლოვანებს და ა. შ. როგორც ნებისმიერ მონადირეს აქვს ბრაკონიერის გამოვლენა-დაკავების უფლება, ასევე ყველა იმ სრულფასოვან მოქალაქეს უნდა შეეძლოს, დაეხმაროს ხელისუფლებას იარაღის უკანონოდ მატარებელთა გამოვლენაში. იარაღის ფლობა შინაგანად წესრიგისაკენ, სიფრთხილისაკენ (არა უიარაღობით გამოწვეული შიშისაკენ), ღირსეული ქმედებისაკენ უბიძგებს ადამიანს, — იარაღი საზოგადოების მიერ თვალსაჩინოდ გამოცხადებული ნდობაა, ვაჟკაცობაა, გონიერება-ზომიერების გარანტიაა. ყოველ შემთხვევაში, საუკუნეების განმავლობაში ასე ცხოვრობდნენ ჩვენი და არა მარტო ჩვენი წინაპრები.

რაღა თქმა უნდა, არც ისაა შემთხვევითი, რომ ქართველთა უმთავრესი ღვთაება სწორედ ბოროტებასთან მებრძოლი, იარაღმომარჯვებული რაინდია.

დაბოლოს, რაც არ უნდა ვიტყუოთ თავი, კაცობრიობა არ ჰკვიანდება, იგი მხოლოდ ცოდნას აგროვებს, რისთვისაც ღმერთი ხშირად გვსჯის ხოლმე ჩვენივე ხელითა და ჩვენივე იარაღით. იარაღის არქონა, მაშასადამე, დაღუპვის ტოლფასია მოძალებული მტრის პირისპირ. საკმარისი რეგულარული ჯარის ყოლის არც მატერიალური, არც სოციალური საშუალება საქართველოს, ჯერჯერობით, არ გააჩნია, — „ქუდზე კაცის“ მეომარი რეზერვის პოტენცია კი [illegible] ჰქონდა და აქვს. წარსულში ჩვენი მეფეებისა და მხედართმთავრებისათვის ეს ელემენტარული ჭეშმარიტება იყო. სხვათაშორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეზერვისტები არმიის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ.

მილიონი ოჯახია საქართველოში? — იყოს მილიონი შეიარაღებული! ეს იმედი იქნება მოყვრისათვის და დიდი საფრთხე — მტრისათვის.

**ზაზა ქინქლაძე**

**ბატონო რედაქტორო!**

გაზეთ „საქართველოს" 1 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა მეტად საინტერესო ნაწყვეტი ალექსანდრე ფრონელის წიგნიდან „მთის არწივი შამილ". ამ პუბლიკაციით გამოჩნდა თქვენი რედაქციის დაინტერესება შამილის ურთიერთობით ქართველებთან, რამაც გადამაწყვეტინა, გამომეგზავნა თქვენთვის კიდევ ერთი საყურადღებო მასალა ამ ურთიერთობის ისტორიიდან, რომელიც, ჩემი აზრით, უცნობი უნდა იყოს დაინტერესებული მკითხველისათვისაც კი. ეს გახლავთ ზაქარია ჭიჭინაძის (პუბლიკაციას მხოლოდ მისი ინიციალები აწერია) წერილი: „შამილის საიდუმლო ურთიერთობა და კავშირი ქართველებთან და ამის მეთაური ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი". წერილი გაგრძელებებით გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1920 წლის 3, 5, 7 და 8 ოქტომბრის ნომრებში, ეს გაზეთი კი, გასაგები მიზეზების გამო, სულ უკანასკნელ დრომდე ხელმიუწვდომელი იყო მკითხველთათვის. შემდგომში კი, რამდენადაც ვიცით, ზაქარია ჭიჭინაძის ზემოხსენებული წერილი არსად გამოქვეყნებულა. რაც შეეხება წერილის შინაარსს, როგორც ზაქარია ჭიჭინაძის ყველა სხვა თხზულებას, ამასაც კრიტიკულად უნდა მივუდგეთ, მაგრამ, ვფიქრობ, მისი გამოქვეყნება საჭიროა.

პატივისცემით —
**ბაატა ნაცვლიშვილი**

# შამილის საიდუმლო ურთიერთობა და კავშირი ქართველებთან

**ალექსანდრე** ორბელიანი, მეფე ერეკლეს ქალის თეკლას შვილია, ძმა გახლავთ პოეტის ვახტანგ ორბელიანის და მასთანვე თავის დროის ქართველების უდიდესი მამულიშვილი — პატრიოტი მწერალიც. იგი დაიბადა 1801 წ. მაშასადამე იმ წელს, როცა ქართლსა და კახეთში ამის ბიძის, მეფე გიორგის ტახტი მოისპო, ქართლი და კახეთი რუსეთს დაუკავშირდა.

ალექსანდრე ორბელიანმა საქართველოში მიიღო განათლება. 1830 წლებში, იგი წევრი გახდა „ფარული საზოგადოების". მან მალე მის დამაარსებელთა კაცთა შორის პირველი ადგილი დაიკავა და სადაც ამ საზოგადოების დამაარსებელ სოლ. დოდაშვილის სახელი იხსენებოდა, ფილადელფოს კიკნაძის, სერაფიონ ლეჩხუმელის და სოლ. რაზმაძის, იქ ალექს. ორბელიანსაც მოიხსენიებდნენ ხოლმე დიდი პატივისცემით.

ალექსანდრე ორბელიანი „ფარული საზოგადოების" ისეთი ერთგული წევრი გახდა, რომ მან ერთ დროს, ამ საზოგადოების მოწინააღმდეგე ქართველნი ხმალშიაც გაიწვია, ამათ რიცხვშივე მოჰყვა იმ დროის გამოჩენილი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ხოლო ამასთან ხმალში გასვლა მიტომ უარ ჰყო, რადგანაც ალ. ჭავჭავაძეს ასეთი სიტყვა უთხრა:

— შენთან ხმალში გასვლა ცოდვა იქნება, ვინაიდან შენ ხარ შვილი გარსევან ჭავჭავაძისა.

ამით გათავდა ამათი შუღლი თურმე სალაყბოს მოედანზედ.

1832 წ. ალ. ორბელიანი დაპატიმრებულ იქმნა, ვინაიდან, ევსეი ფალავანდოვის დაბეზღებით ეს იყო პირველი ხარისხის დამნაშავე და მასთანვე წამქეზებელი ფშავ-ხევსურეთში იმ მთიულების, რომელთაც მოკლეს რუსეთის ჯაშუში ივანე კერესელიძე.* რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრე ქართველებს რუსის მთავრობის წინაშე აბეზღებდა.

. „ფარული საზოგადოების" წევრების და მოქმედების გამო, ალექსანდრე ორბელიანი თავის დედა თეკლე ბატონიშვილითურთ რუსეთში იქმნა გადასახლებული სასჯელის მოსახდელათ. რუსეთში ყოფნის დროს, ალექსანდრემ მიიღო სამხედრო სწავლა და მის მერე სამხედრო სამსახურშიც შევიდა. 1840 წელს, იგი თავის დედით საქართველოში დააბრუნეს, საქართველოშიც ეს მსახურებდა სამხედრო სამსახურში და იყო დიდი მეგობარი პოეტის გრიგოლ ორბელიანის.

ეს საყურადღებო კაცი მარტოთ კალმით შრომას არ კმაყოფილდება და იგი ამის გარდა ქართველებში იყო დიდი მქადაგებლი, დიდი პროპაგანდისტი საქართველოს სიყვარულის ამაღლების და ქართველი ერის გათვითცნობიერების. ამისთვის იგი ხმარობდა ყოველ ნაირს შრომას და ღონის ძიებას და სწორედ ამისივე ცხადი საბუთია და მოწამე შემდეგი გარემოება, რაც არ უნდა იყოს უმნიშვნელო და უაზრო ჩვენს ისტორიასა და ცხოვრებაში.

ალექსანდრე ორბელიანს, თავიდანვე დაახლოვებული კავშირი ჰქონდა და წერილების მიწერ-მოწერა თავის ბიძა ალექსანდრე ბაგრატიონთან, რომელიც რუსების შემოსვლის შემდეგ საქართველოდან სპარსეთში გაიქცა და იქიდან იგი ხან სპარსეთის ჯარით ესხმოდა რუსეთს, ხან ოსმალოს და ხან დაღესტანელების. ამისი წერილების საგანი ალექსანდრე ბატონიშვილთან იყო მუდამ მის შესახებ წაქეზება, რომ რუსები გაეძევებინა და მის შემდეგ საქართველო მისგან განთავისუფლებულ იყო.

ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილების მიწერ-მოწერის დროს, არც საქართველოს მოსამზღვრე მეზობლებს სტოვებდა უყურადღებოდ. შამილთან მას ისე ჰქონდა მიწერ-მოწერა გამართული, რომ ეს ამბები მის დედის მეტმა სხვამ არავინ არაფერი იცოდა.

უპირველეს ყოვლისა შამილს ამან გააცნო საქართველო კარგად და მასთან ის პირობებიც, თუ რუსები საქართველოში რა ოსტატობით შემოვიდნენ, რუსები ქართველებს რასა ჰპირდებოდნენ და მერე როგორ დაუწყეს საქრთველებს დევნა, ჩაგვრა და დამდაბლება. შამილი ამისაგან დიდათ იყო გაბრაზებული და გაცეცხლებული. შამილს ეს ბოროტება უფრო აბრაზებდა. იგი ფიქრობდა, რუსებმა, ქრისტიანებმა, თუ ქრისტიანი ქართველები ასე მოატყუეს და სიკეთის მაგიერ ასე სჩაგრავენო, მაშ ჩვენ მაჰმადებს აბა რაღას გვიზამენო. ჩვენ უარეს დღეს დაგვაყენებენ და თითქმის ცეცხლში ჩაგვყრიანო. ამიტომაც იყო, რომ იგი ისე გაafთრებული ებრძოდა რუსეთს და ამისი ბრძოლაც სულ საქართველოზედ იყო მიმართული და სულ საქართველოს გარშემო ტრიალებდა მისი ხმალი და ომები რუსეთის წინააღმდეგ.

შამილის ასეთ მხურვალე ბრძოლას და ომებს ალექსანდრე ორბელიანი უფრო აცხოველებდა და აზვიადებდა, ცნობებს რუსების თუ საქართველოს შესახებ ეს აძლევდა შამილს, წერილებს ეს სწერდა შამილს ლეკურს ენაზედ, სიტყვები იყო ლეკურით დაწერილები და ასოები კი ქართული ანბანის. შამილს ჰყოლია ისეთი ლეკებიც, რომელთაც ქართული კითხვა კარგათ სცოდნიათ.

ლეკურის ენის მცოდნე იყო ვინმე ზაქარია მირალოშვილი, პოეტის გრიგოლ ორბელიანის ყმა, თვით პოეტთან აღზრდილი, რომელსაც უმეტესი დრო თავის ცხოვრების, თვით ბატონ გრიგოლ ორბელიანთან დაღესტანში ლეკებთან ეტარებინა. ამიტომ ამას ლეკური ენა ისე ჰქონდა შესწავლილი, როგორც თავის დედა-ენა ქართული. ამ კაცს მეც მოვესწარი, იგი იყო ქართული ენისა და მწიგნობრობის მოყვარე და მასთან ბევრი რამ ცნობების ლაპარაკიც იცოდა დაღესტნელ ლეკების და შამილის შესახებ.

1847 წლის დამდეგს, რუსებს შამილთან კახეთის გზით ომი მოუხდათ. ამ ომში, თან გაიყოლეს სამხედრო მსახური ალექს. ორბელიანიც. ჯარი რომ კახეთში ჩავიდა, ალ. ორბელიანი თელავში დასახლდა და იქიდან იღებდა ომში მონაწილეობას. ეს გარემოება თურმე შამილმაც იცოდა, მაგრამ ორბელიანის ეს საქციელი მაინც არ სწყინდა, რადგანაც იცოდა რაშიაც იყო საქმე. ერთ დღეს შამილს ორბელიანისათვის გამოუგზავნია მოციქული, რომელსაც ორბელიანისათვის ძღვენი მოჰქონდა თურმე. ძღვენი ყოფილა სხვა და სხვა ნივთები, ორი თოფი, ანუ ყარაბინა და ორიც ლეკური, ეს მოციქული, ლეკი, ტყეში შეხვედრია ქართველებს, გაუჩერებიათ და უკითხავთ:

— ჩვენო ძმაო, ლეკო, საით მიდიხარ შენა, ვისთან მიხვალ, შენ არ იცი, რომ აქეთ ლეკების სიარული საშიშია?

— ლეკს ასე უპასუხია:

— მადლობელი ვარ თქვენი, რომ მე არ მიჭერთ, მე მივდივარ თელავში, ეს ძღვენიც აქ მიმაქვს ორბელიანთან.

ქართველებმა ეს რომ გაიგეს, ლეკს დამეგობრება სთხოვეს და ცნობების გამოკითხვაც. მათ ასეთის მოპყრობით ლეკი თურმე მოხიბლეს. ბოლოს, რომ დარწმუნდნენ ქართველები, რომ ლეკი ჩვენ ყველაფერს გვეტყვისო, მერე მას სხვა კილოთი დაუწყეს ლაპარაკი და უამბეს შემდეგი ცნობები:

— ორბელიანი ჩვენი ნათესავია, გუშინ ის თელავიდან ტფილისში წავიდა, ამიტომ შენ თელავში უბრალოთ მიდიხარ. ჩვენ გადმოგვეცი ეგ ძღვენი და ჩვენ გადავსცემთ მას, შენ-კი თავს უშველე, შენის ქვეყნისკენ წადი, თორემ რუსები დაგიჭერენ, თან წაგიყვანენ.

ლეკმა დაუჯერა მათ და უთხრა:

— კარგია, რომ მითხარით, მაშ მე აბა რაღათ უნდა წავიდე თელავში, ამ ძღვენს თქვენ გადმოგცემთ და რაკი ორბელიანი თქვენი ნათესავი ყოფილა და თქვენც ქართველები ხართ, მაშინ თქვენ გადაეცით მას ყველაფერი და თან აუწყეთ ჩვენი დავალებაც.

ქართველებიც დასთანხმდნენ, ჩამოართვეს ძღვენი და დაპირდნენ, რომ გადასცემდნენ მას დანიშნულებისამებრ. ლეკი უკან გახარებული დაბრუნდა, ლეკის მომტყუებელი პირები იყვნენ თურმე მართლა ქართველები, მაგრამ რუსეთისაგან მოსყიდული მოღალატენი, სამხედრო ჯაშუშები და ომის დროს ლეკებზედ მზვერავებად გამოგზავნილნი.

ამ ჯაშუშ ქართველებმა ჯერეთ ნივთები, ყარაბინა და ლეკური დაშინჯეს, მერე წერილი გახსნეს და ნახეს, რომ ქართულად ნაწერი იყო, წაიკითხეს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს, რადგანაც წერილი ლეკურის ენით იყო დაწერილი, მათ მოსძებნეს ლეკურის ენის მცოდნე, რომელსაც წააკითხეს ეს წერილი. წერილის შინაარსი ასეთი იყო:

საყვარელო და პატივცემულო ძმაო ალექსანდრე, მოკითხვას სიყვარულით მოგახსენებთ, პატივსაცემო და კეთილშობილო [illegible] კარგათ და ღვთის დიდებით მე ჩემს თავსა და ძალას მალე გიჩვენებთ თქვენს ქვეყანაში. დიდი ხანია რუსები მებრძვიან, მაგრამ ღვთის დიდებით ივინი ვერაფერს აწყობენ, ვერც გააწყობენ, რადგანაც ეგენი ბოროტები არიან და ყველას დაჭერა და დამორჩილება უნდათ, ისე, როგორც ქართველები დაიჭირეს.

მაგრამ ჩვენ ვერ დაგვიჭერენ ასეთის იარაღი, რაც რუსებს აქვთ, ჩვენ რომ გვქონდეს, იმ იარაღით მათ ისეთ დღეს დავაყენებთ, რომ ორი კვირის შემდეგ მაგათი ხსენება არც ჩემს ქვეყანაში და არც საქართველოში აღარ იქნება; მაინც, ძვირფასო ძმაო, შენ მოესწრები, რომ ეგენი აქედან და საქართველოდანაც გარეკილები იქნებიან და შენი დავალებაც შესრულდება. მაშინ მეფე ერეკლეს შვილიც აქ გაჩნდება.

მე არ მინდა არაფერი, მე არც ამისა ძალა და ოსტატობა მაქვს, რომ ჩემი და თქვენი ქვეყანა ვმართო. არა, მე ეს ქვეყნები ქართველებისთვის მინდა, მე რუსებს გავაძევებ და ჩემს ქვეყანას და საქართველოს მართვა-გამგეობას ქართველებს ჩავაბარებ, რომელიც ეხლა აქ ჩვენთან გახლავსთ და ვინც დიდს სალამს და სიყვარულსაც გითვლის.

მხოლოდ თქვენ, ქართველებს. დავალებთ შემდეგს: თუ თქვენ ჩვენ არ გვიშველით, მაშინ ის მაინც ქენით, რომ რუსებთან ერთად თქვენის ნებით არ შემოყვებით, ბრძოლა არ დაგვიწყოთ, თქვენ თქვენთვის იყავით, ნურც ჩვენ გვიშველით და ნურც რუსებს მიემხრობით. ამას გარდა გავალებთ კიდევ შემდეგს: ოსმალეთიდან ჩვენ საომარ იარაღს ველით, ახალციხის გზით იქნება თქვენი ქვეყნისაკენ გამოატარონ იარაღი ჩვენმა კაცებმა და თუ შესაძლებელი იქნება და რუსთაგან თქვენ არაფერი გევნებათ, მაშინ ამ იარაღის გამტარებლებს მფარველობა გაუწიოთ; რომ მათ რუსებმა არ წაართონ. თუ ეს დავალება თქვენთვის მძიმე იქნეს და რუსების შეგეშინდეთ, მაშინ შორს ამისგან, ნურაფერს საქმეში ნუ ჩაერევით. თქვენი იმედი გვაქვს, რომ საქართველოში ჩვენს მომხრეობას გაავრცელებთ.

სხვაც ბევრი რამ ყოფილა შამილისგან ქართველებთან მოწერილი, ჩვენ ეს ვიკმარეთ, ესეც საკმარისია მის საფუძველათ, რომ ვიცოდეთ ის გარემოება, რომ გმირ შამილთან ქართველებსაც ჰქონიათ კავშირი და მისი გმირობა ქართველთაგანაც ყოფილა დაფარული და დაცული, თუმცა ხშირათ ისიც ხდება, რომ რუსების დავალებით და იძულებით ქართველნიც ებრძოდენ ლეკებს და შამილს.

**ზ. ჭ. (ზაქარია ჭიჭინაძე)**
**„საქართველოს რესპუბლიკა" №№ 223, 224, 226, 227; 3, 5, 7, 8 ოქტომბერი, 1920 წ.**
**სტილი და ორთოგრაფია დაცულია ნაწილობრივ. იბეჭდება შემოკლებით.**

* იმედია, მკითხველს იგი არ აერევა ჟ. „ცისკრის" რედაქტორ ივანე კერესელიძეში. (რედ.).



რომან ქარქუსაშვილის ნახატი.


# მკითხველთა საყურადღებოდ!

**თუ გაზეთ „საქართველოს" ჯიხურებში შეტანისთანავე ვერ მიუსწრებთ, შემდეგ მისი შეძენა ჭირს. ამის მიზეზი კი ძალზედ უბრალო გახლავთ — გაზეთი უკვე გაყიდულია ან გადამალული...**
**ამიტომ, ვინც გასულ წელს ვერ მოასწარით,**

# გირჩევთ, გამოიწეროთ „საქართველო"


## ღმერთმა ამციროს!..

**როგორც გერმანული პრესსააგენტო აღნიშნავს, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტურმა პარტიამ 28-ე ყრილობის წინ 223000 წევრი დაკარგა. რაც შეეხება დარჩენილ წევრთა ზუსტ რაოდენობას, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.**

**ბატონებო და ქალბატონებო!**

**ვისაც** სსრკ-ს პრეზიდენტის მორიგი ყაჩაღური ბრძანებულების შემდეგ, 50-მანეთიანებისა და 100-მანეთიანების სანაგვე ყუთში გადაყრა მოგიწევთ, თავი იმით ინუგეშეთ, რომ სანაგვეზე მოისვრით ამ ბანდიტური სახელმწიფოს დამაარსებელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

P. S. სხვათაშორის, როგორც ბ-ნი აბონ ციციაშვილისგან შევიტყვეთ, გორბაჩოვს ამ აქციის ჩატარება მას შემდეგ გადაუწყვეტია, როცა ქართული ანდაზა წაუკითხავს: „ქურდის ქურდი ცხონდაო!"


ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447
რედაქციის მისამართი: თბილისი, ვაზაგის 4. [illegible] ტელ. 29-26-81.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში"
რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი